

F 171  
1973



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

გრიგორიანთა და ინსტრუქციათა

ქ რ ე ბ უ ლ ი

6

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ი ზ ე ი ს ი

F3809

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ЗАКОНДАТ

ბ. შავეჩას სპ. 1973  
საბჭოთავი

თბილისი 1973

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ.  
18 ივნისის ბრძანება № 433

ქ. თბილისის კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ქ. თბილისის კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული „ახალგაზრდობის საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დაწესებულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილების განხორციელების მიზნით.

შემოწმებული რაიონების სკოლებში გაუმჯობესდა რიგი საგნების სწავლების ეფექტურობა, რასაც ხელი შეუწყო სასწავლო-მეტერიული ბაზების გაუმჯობესებამ, გაკვეთილის პროცესში ტექნიკურ საშუალებათა მიზნობრივმა გამოყენებამ, პედაგოგთა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული დახელოვნების ამაღლებამ.

სკოლებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული იმ ორგანიზაციებთან, სადაც მოსწავლეთა მშობლები მუშაობენ. იმ მრავალდონისძიებათა შორის, რომელსაც კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებები და სკოლები ატარებენ, უნდა აღინიშნოს კიროვის სახ. რაიონის მშობელთა კონფერენცია თემაზე: „ჩემი შვილი“, სადაც ბავშვთა აღზრდის საკითხებზე თვით მშობლებმა წაიკითხეს მოხსენებები.

რიგ სკოლებში სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდასა და პროფესიულ ორიენტაციას. აღნიშვნის ღირსია თბილისის 66-ე საშუალო სკოლა (დირექტორი



მ. მახარაძე), სადაც ამ მიმართებით ღრმა და საფუძვლიანი მუშაობა წარმოებს. მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმე კარგად არის დაყენებული თბილისის 28-ე (დირექტორი თ. ნიკოლაიშვილი), 65-ე (დირექტორი გ. ჩალაური) და სხვა სკოლებში.

კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმეს წარმართავენ სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლები: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში: ნ. ხუროძე (75-ე საშუალო სკოლა), ქ. ფარცხალაძე (29-ე საშუალო სკოლა), ვ. გრიგორიანი (74-ე საშუალო სკოლა), ვ. ჩახაიანი და ა. გეგორქიანი (104-ე საშუალო სკოლა), ლ. კოჭენიკოვა და ფ. მათევოსიანი (66-ე საშ. სკოლა), გ. კირილოვა და ე. ურდია (28-ე საშუალო სკოლა), რუსულ ენაში—თ. მრეგლიშვილი (29-ე საშუალო სკოლა); ფიზიკაში: დ. მანუკიანი და მ. მალკინა (66-ე საშ. სკოლა), ნ. ქვათაძე (29-ე საშ. სკოლა); ქიმიაში—თ. რობიტაშვილი (29-ე საშ. სკოლა); ბიოლოგიაში—ქ. ბახტაძე (29-ე საშ. სკოლა), ს. დილაბარიანი (104-ე საშ. სკოლა). ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში: ნ. კობერიძე (65-ე, 75-ე საშ. სკოლები), ნ. ბულისკერია, ე. ებრაელიძე (29-ე საშ. სკოლა), ს. ხომერიკი (მე-17 საშ. სკოლა) და სხვ.

მთუხედავად ზემოაღნიშნულისა, კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებები:

არ არის სათანადოდ შეჩვენული სკოლების ხელმძღვანელი კადრები, რიგ სკოლებში დირექტორები და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეები მხოლოდ პუმანიტარული ან მხოლოდ საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტები არიან, რაც ხელს უშლის ყველა საგნის სწავლებისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის განაორციელებას.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება 65-ე, 74-ე, 75-ე, 29-ე, 66-ე სკოლებში (დირექტორები: გ. ჩალაური, მ. ბაღდასარიანი, ნ. ხუროძე, ნ. ბულისკერია, მ. მახარაძე) დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სამ და მეტ საგანში ჩამორჩებიან, რაც მათი განთესვის წინაპირობას ქმნის.

65-ე, 75-ე სკოლებში სუსტად მუშაობენ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები.



65-ე, 74-ე და 75-ე საშუალო სკოლებში მოუწესრიგებულნი იყვნენ დახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა. აქ ცუდადაა დაყენებული ბავშვთა კვების საქმე—მათ არ ეძლევათ ცხელი სადილები. არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია რიგი საგნების სწავლების საქმეში, რის გამოც მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი სუსტ თეორიულ მომზადებას, ზეპირი და წერიტი მეტყველების დაბალ კულტურას ამჟღავნებს.

სუსტად ასწავლიან მათემატიკას დაწყებით კლასებში ლ. ხელია და იხ. მანჯგალაძე (65-ე საშ. სკოლა), მშობლიურ ენასა ლიტერატურას—კ. ჯღარკავა (65-ე საშ. სკოლა), მათემატიკას—ა. გიორგობიანი (28-ე საშ. სკოლა), მ. სარაული (29-ე საშ. სკოლა) და მ. ეფუბოვა (66-ე საშ. სკოლა), ფიზიკას—ა. ცერაძე და ა. არჩვაძე (65-ე საშ. სკოლა), ქიმიას—ე. ბაღაშვილი (65-ე საშ. სკოლა), ა. ჩხარტიშვილი და გ. მამალაძე (75-ე საშ. სკოლა), უცხოურ ენას—თ. მაჩაიძე, ნ. ნიკოლაიშვილი და ნ. ბანცაძე (75-ე საშ. სკოლა), ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობას—ქ. ჯღარკავა (75-ე საშ. სკოლა), მ. ივანოვა (28-ე საშ. სკოლა) და სხვ.

დარღვევებია მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის (65-ე საშ. სკოლა), საკლასო ყურნალებში მასალის შეტანის (29-ე საშ. სკოლა) და მეოთხედური ნიშნების გამოყვანის (66-ე საშ. სკოლა) საქმეში.

ხარვეზებია ფაკულტატიური სწავლების საქმეში. სკოლაში ფაკულტატიურ მეცადინეობას, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 2 აკადემიური საათისა, ეთმობა სამი საათი, ხოლო 74-ე საშ. სკოლაში ფაკულტატიურ მეცადინეობაზე ძირითადი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას ასწავლიან.

შესწავლილი რაიონების სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი გადაეგზავნოთ შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებსა და სკოლებს განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად.
2. ქ. თბილისის კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ა. მაჭარაშვილმა, ნ. ჯორბენაძემ):



ა) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ განათლების განვითარებისა და სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებად;

ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებისათვის მიცემულ მითითებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებას;

ბ) მიიღონ ზომები სათანადო სპეციალობის მქონე ხელმძღვანელი კადრებით სკოლების უზრუნველსაყოფად;

გ) ყველა საჭირო ღონისძიება გაატარონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის სრულყოფის, კაბინეტ-ლაბორატორიების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინოებით, ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობებით უზრუნველსაყოფად;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში შრომისადმი კომუნისტური დაძოვებულების გამომუშავებას; ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით;

ე) საჭირო ღონისძიებანი გაატარონ სკოლების სამმართველოს მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ; დააწესონ სისტემატური კონტროლი მათ მუშაობაზე, ჩააბან ისინი მასწავლებელთა დახელოვნების საკურსო ღონისძიებებში.

3. სკოლის დარექტორებმა:

ა) გაატარონ ღონისძიებანი სასკოლო საქმიანობის უფრო გულმოდგინედ, შემოქმედებითად დასაგეგმავად. ამ მიზნით, მოაწყონ სკოლის წლიური და პედსაბჭოს ნახევარწლიური სამუშაო გეგმების საქმიანი განხილვა;

ბ) გულდასმით შეარჩიონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხები, კარგად მოამზადონ ისინი და უზრუნველყო დასახულ ღონისძიებათა შესრულება;

გ) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობისადმი;

დ) გაატარონ ღონისძიებანი სკოლებში მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; იბრძოლონ ფორმალიზმის წინააღმდეგ, მიაღწიონ იმას, რომ წაკითხული მოხსენებები ნამდვილად პასუხობდნენ მასწავლებელთა თეორიული ღონის ამალგებასა და მათი მუშაობის პრაქტიკულ ამოცანებს; დააწესონ კონტროლი მეთოდგაერთიანებათა მუშაობაზე;

ქმედითი დახმარება გაუწიონ დახელოვნების ინდივიდუალური გეგმით მომუშავე მასწავლებლებს;

ე) მიიღონ ზომები სკოლებში საგნობრივი წრეების მუშაობის მოსაწესრიგებლად; არ დაუშვან ამა თუ იმ საგნობრივ წრეში მხოლოდ იმ კლასების მოსწავლეთა გაერთიანება, რომლებშიც წრის ხელმძღვანელი ასწავლის საგანს; წრეების მუშაობაში აქტიურად ჩააბან უმცროსი კლასების მოსწავლეებიც;

ვ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მუშაობაში სასკოლო პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ამ საქმეში აქტიურად ჩააბან კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები.

4. მასწავლებლებმა:

ა) ყოველდღიურად იზრუნონ საკუთარი თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და პედაგოგიურ დახელოვნებაზე;

ბ) სწავლებაში აქტიურად გამოიყენონ თვალსაჩინოება და ტექნიკური საშუალებანი, უზრუნველყონ გაკვეთილის მაქსიმალური ეფექტიანობა;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას: იბრძოლონ მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად.

5. დაევალოს 65-ე საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჩალურს მკვეთრად გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამალგებისა და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დამკვიდრების საქმეში.

6. კიროვისა და პირველი მაისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ა. მაჭარაშვილმა, ნ. ჯორბენაძემ 1973 წელს 30 დეკემბრისათვის განათლების სამინისტროში წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **ო. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

თ. ვ. მაჭარაშვილს

### მოსხმენებითი ბარათი

ქ. თბილისის კიროვისა და პირველი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1973 წლის 15 დან 25 თებერვლამდე ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების, ქვეშედებარე დაწესებულებათა მეთოდისტებისა და ქალაქის მოწინავე პედაგოგთა შემადგენლობით შეისწავლა ქ. თბილისის კიროვისა და 1-ლი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებებისა და ამავე რაიონების ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა (კიროვის რაიონში შემოწმებულ იქნა 65-ე, 66-ე, 74-ე, 75-ე და 104-ე, ხოლო 1-ლი მაისის სახ. რაიონში — 76-ე, 28-ე და 29-ე საშუალო სკოლები).

აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებები დაკომპლექტებულია სათანადო ცენტრისა და გამოცდილების მუშაკებით, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სპეციალობის მიხედვით კარგად არიან შერჩეულნი: კიროვის სახ. რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. მაჭარაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, სასკოლო ინსპექტორები: ა. შენკელია — ბიოლოგი, ხოლო მ. ასათიანი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია.

პირველი მაისის სახ. რაიონის განათლების განყოფილება კი შემდეგი სპეციალობის მუშაკებითა და დაკომპლექტებული: განათლების განყოფილების გამგე ნ. ჯორბენაძე ფილოსოფოსია, ინსპექტორები: ეთ. რუხაძე — ფრანგული ენის, ხოლო შ. გორგოძე — მათემატიკის სპეციალისტია.



კიროვისა და 1-ლი მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებები მუშაობენ კვარტალური გეგმების მიხედვით, ხოლო კიროვის რაიონის განათლების განყოფილება, გარდა ამისა, პერსპექტიულ, კვარტალურ და თემატურ გეგმებსაც ადგენს.

მიმდინარე სასწავლო წელს კიროვის რაიონის განათლების განყოფილების სახალხო განათლების საბჭოს სხომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია სახალ გეგმებსა და პროგრამებზე გადასულ საკნებში მუშაობის მიმდინარეობა, ბავშვთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხი, 73-ე, 74-ე, 75-ე და 104-ე საშუალო სკოლებში—რუსული ენის სწავლების მდგომარეობა და სხვ., ხოლო პროფორიენტაციის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განხილულია 67-ე საშუალო სკოლისა და მე-6 სამკერვალო ფაბრიკის ერთობლივი მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხებში.

1-ლი მაისის სახალხო განათლების განყოფილებამ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში შეისწავლა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა 25-ე, მე-100, 116-ე, 130-ე, 140-ე და 147-ე საშუალო სკოლებში, საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობა, არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, დაწყებითი სამხედრო სწავლების მდგომარეობა და სხვ.

განათლების განყოფილებას განუხილავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების მდგომარეობა, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით ჩატარებული, მუშაობის მიმდინარეობა და სხვ.

სახალხო განათლების საბჭოზე მოსმენილი იქნა შემდეგი საკითხები: 147-ე საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები, 140-ე საშუალო სკოლის საკითხი, მუსიკალური სკოლების შემოწმების შედეგები.

აღნიშნული რაიონების სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საშეფო ორგანიზაციებს. გასულ წელს კიროვის სახ. რაიონის სკოლებს შეფმა ორგანიზაციებმა გამოუყვეს 57.133 მანეთი, ხოლო 1-ლი მაისის სახ. რაიონის სკოლებს—197.716 მანეთი. მაგრამ, არიან ისეთი „შეფებიც“, რომელთაც გასულ წელს არაფერი გაუკეთებიათ სკოლებისათვის; ასეთებია გამოთიშველების ქარ-

ხანა (შეფობს 66 ე საშ. სკოლას) და ფეხსაცმელების (შეფობს 104-ე საშ. სკოლას).

სკოლების სწორი მართვისა და პედაგოგიური შრომის ორგანიზაციის მოწვევების თვალსაზრისით საყურადღებოა კიროვის სახ. რაიონის განათლების განყოფილების მიერ შემუშავებული ინფორმაციის საინტერესო ფორმა—ყოველი წლის 20 აგვისტოს სკოლის დირექტორებს ურიგდებათ საქალაქო დეპუტატთა, სადაც ზემდგომი ორგანოებიდან დაშვებული თითქმის ყველა დოკუმენტი ჩაქვრებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კიროვის სახ. რაიონის განათლების განყოფილებას გატარებული აქვს რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა.

მაგალითად: სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა საკლასო და სასკოლო კონკურსები: „ჩემი სამშობლო—სსრკ“, „ვუმღერ სამშობლოს“, „ვრცელია ჩემი ქვეყანა“. მომზადდა რაიონის მოსწავლეთა თხზულებების კრებული „სამაისო ნობათი“ და სხვ.

ჩატარდა მშობელთა რაიონული კონფერენცია თემაზე: „ჩემი შვილი“, სადაც ბავშვის საოჯახო აღზრდის საკითხებზე თვით მშობლებმა წაიკითხეს მოხსენებები და ურთიერთს გაუზიარეს გამოცდილება. აქვე ყურადღება გამახვილებულ იქნა ბავშვთა ათვისებულ აზრდის საკითხებზე და სხვ.

მოწინავე გამოცდილების გაზიარებასა და სკოლის მუშაობაში სიახლეთა ძიებას მიეძღვნა 1973 წლის 8 იანვრის მასწავლებელთა რაიონული პედაგოგიური კითხვა-სოციალისტური შრომის გმირის ვ. ა. სუბოლინის კითხვა-მოღვაწეობის შესახებ და სხვ.

შემოწმების საერთო სურათი გვიჩვენებს, რომ ორივე რაიონის განათლების განყოფილება დამაკმაყოფილებლად უძღვება საქმეს, მაგრამ აქვე ნაკლოვანებაც უნდა აღინიშნოს:

როგორც კიროვის, ისე 1-ლი მაისის სახ. რაიონში სპეციალობის მიხედვით ცუდად არიან შერჩეულნი სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში. კიროვის რაიონის 18 დღის საშუალო სკოლიდან 7 სკოლაში დირექტორი და მოადგილე ისტორიკოსი ან ფილოლოგია, ხოლო 1-ლი მაისის ჩვენს მიერ შემოწმებულ ერთ-ერთ სკოლაში (29-ე საშ. სკოლა) დირექტორი და მისი ერთ-ერთი მოადგილე ისტორიკოსები აღმონდნენ, მეორე მოადგილე კი — ფილოლოგი. ბუნებრივია, ასეთ პირობებში თითქმის უყურადღებოდ, ჯეროვანი შინასასკოლო ხელ-



მძღვანელობისა და კონტროლის გარეშე რჩება საბუნებისმეტყველების დიციპლინები,

კიროვის სახ. რაიონის სკოლები მალადი კვალიფიკაციის ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალისტთა ნაკლებობას განიცდიან, 1-ლი მაისის რაიონის სკოლებს კი ელექტროტექნიკისა და ავტოსაქმის მასწავლებლები სჭარდება.

შემოწმებულ რაიონებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების მდგომარეობა ასეთია:

კიროვის სახ. რაიონში:

მოსწავლეთა რაოდენობა: გეგმით 9.461  
 ფაქტიურად 9.494  
 33-ით მეტი

გ ე გ მ ა	შ ე ს რ უ ლ ე ბ ა
0—III კლ.—3.476	3.380 (96-ით ნაკლები)
IV—VIII კლ.—4.578	4.747 (170-ით მეტი)
IX—X კლ.—1.407	1.366 (41-ით ნაკლები)

მ ე ო რ ე წ ლ ი ა ნ ე ბ ი — ს უ ლ 7 9

I—III—6  
 IV—VIII—57  
 IX—X—16.

1-ლი მაისის სახ. რაიონში:

მოსწავლეთა რაოდენობა: გეგმით—18.337  
 ფაქტიურად—17.703  
 634-ით ნაკლები

გ ე გ მ ა	შ ე ს რ უ ლ ე ბ ა
0—III—7.030	6.589
IV—VIII—8.930	8.798
IX—X—2.377	2.316
<hr/> 18.337	<hr/> 17.703

I—III— 7

IV—VIII—111

IX—X— 27.

შემოწმების დროს სათანადო ყურადღება დაეთმო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობას. აღმოჩნდა, რომ შესწავლილ სკოლებში კარგად არის მოგვარებული მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა. სკოლიდან გასულ ყველა მოსწავლეზე არსებობს დამადასტურებელი საბუთი და არც ერთი მოსწავლე არ დარჩენილა სკოლის გარეთ. მაგალითად, 1965—1966 სასწავლო წელს 65-ე საშუალო სკოლის I კლასებში ირიცხებოდა 68 მოსწავლე. მათგან მიმდინარე წელს ამავე სკოლის VII კლასში სწავლობს—47, დატოვებულია—2, გარდაიცვალა—1, დანარჩენები კი გადასული არიან სხვა სკოლებში, რაზედაც არსებობს დამადასტურებელი საბუთები. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლების არც თუ ისე გადატვირთულ კლასებში (თითო კლასში 24—33 მოსწავლეა) დიდი რაოდენობით არიან ჩამორჩენილი მოსწავლეები: 65-ე საშუალო სკოლის 638 მოსწავლიდან მეორე მეოთხედში ვერ ასწრებდა—76, მათ შორის სამ და მეტ საგანში—60; 75-ე სკოლის 600 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა—66, მათ შორის სამ და მეტ საგანში—58; 29-ე საშუალო სკოლის 957 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა—47, მათ შორის სამ და მეტ საგანში—24, 66-ე საშუალო სკოლის 1311 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა—156, მათ შორის სამ და მეტ საგანში—131 და სხვ.

ამ სკოლებში თითქოს წარმოებს ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა, სათანადო აღრიცხვაც აქვთ, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა საწინააღმდეგოს მეტყველებს. მოვიყვანოთ სამი სკოლის მაგალითი:

65-ე ს. ა. შ. სკოლის V I<sup>2</sup> კლასი:

მოსწ. ს. ა.— I მეოთხედში—11 „ორიანი“.

II მეოთხედში—14 „ორიანი“.

მოსწ. ვ. ნ.— I მეოთხედში— 9 „ორიანი“.  
II მეოთხედში— 11 „ორიანი“.

VI<sup>1</sup> კლასი:

მოსწ. მ. დ.— I მეოთხედში— 7 „ორიანი“  
II მეოთხედში— 9 „ორიანი“.  
მოსწ. გ. კ.— I მეოთხედში— 5 „ორიანი“  
II მეოთხედში— 10 „ორიანი“.  
მოსწ. ნ. მ.— I მეოთხედში— 9 „ორიანი“  
II მეოთხედში— 12 „ორიანი“.

74-ე ს. შ. სკოლის VI<sup>1</sup> კლასი:

მოსწ. გრ. ხ.— I მეოთხედში— 8 „ორიანი“.  
II მეოთხედში— 8 „ორიანი“.

VI<sup>2</sup> კლასი

მოსწ. შ. შ.— I მეოთხედში— 9 „ორიანი“,  
II მეოთხედში— 9 „ორიანი“.

VIII<sup>2</sup> კლასი:

მოსწ. ი. მ.— I მეოთხედში— 14 „ორიანი“,  
II მეოთხედში— 14 „ორიანი“.

IX კლასი:

• მოსწ. ო. კ.— I მეოთხედში— 14 „ორიანი“,  
ს. პ.— II მეოთხედში— 14 „ორიანი“.  
ჯ. ბ.

V<sup>1</sup> კლასი:

მოსწ. ბ. ბ.— I მეოთხედში— 9 „ორიანი“,  
II მეოთხედში— 10 „ორიანი“.  
მოსწ. მ. მ.— I მეოთხედში— 9 „ორიანი“,  
II მეოთხედში— 10 „ორიანი“.

მოსწ. ლ. გ.— I მეოთხედში—არცერთი „ორიანი“,

II მეოთხედში—10 „ორიანი“.

მოსწ. მ. ბ.— I მეოთხედში—არცერთი „ორიანი“,

II მეოთხედში—8 „ორიანი“ და ა. შ.

ბუნებრივია, მოსწავლეთა მიმართ ასეთი უსულგულო და-  
 მოკიდებულება უკარგავს მათ საკუთარი თავისადმი რწმენას,  
 აძულებს სკოლას და უბიძგებს განთესვისაკენ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ თბილისის მე-17, 28-ე, 29-ე,  
 65-ე, 74 ე, 75-ე და 104-ე საშუალო სკოლების დირექტორები და  
 მათი მოადგილეები, ძირითადად, სწვდებიან მასწავლებელთა მუშა-  
 ობას. მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები, საერთოდ,  
 მოიცავენ აკადემიურ, მეთოდურ და იდეურ მხარეებს, რითაც არ-  
 სებით დახმარებას უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში.

სკოლებს აქვთ 1972—1973 წლის სამუშაო გეგმები, რომ-  
 ლებიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. მათში  
 გათვალისწინებულია სკოლის პედაგოგიური კოლექტივების წინაშე  
 მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე თითქმის ყველა საკითხი, გა-  
 თვალისწინებულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ განათლების მუ-  
 შაკთა წინაშე დასახული ამოცანები, ცალკეა მოცემული მოს-  
 წავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხები და სხვ.

აღნიშნული რაიონების სკოლების კლასგარეშე და სკოლის-  
 გარეშე მუშაობის ორგანიზატორები გარკვეულ მუშაობას ატარებენ  
 კლასის ხელმძღვანელებთან, პიონერულ და კომკავშირულ აქტივ-  
 თან, წრის ხელმძღვანელებთან, ძნელად აღსაზრდელ და მეორე-  
 წლიან მოსწავლეებთან. აქტივის დახმარებით ფართო მუშაობას  
 ეწევიან მიკრორაიონშიც. ამ მხრივ გამოირჩევიან 66-ე საშ. სკო-  
 ლის ორგანიზატორი ს. არაქელოვა, 74-ე საშ. სკოლის ორგა-  
 ნიზატორი ვ. გრიგორიანი, 104-ე საშ. სკოლის ორგანიზატორი  
 ნ. ბაღდასარიანი.

საინტერესო მუშაობას ეწევიან პიონერული ორგანიზაციები.  
 შემოწმებული სკოლებიდან, ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა  
 მე-17, 66-ე, და 74-ე საშ. სკოლებში. აქ პიონერული რაზ-  
 მეთულები ხელმძღვანელობენ საბჭოს სამუშაო გეგმებით, არის რაზ-  
 მეთულებისა და რაზმების ალბომები, ვალდებულებები პიონერული  
 მარშრუტების გათვალისწინებით, გარკვეული მუშაობაა ჩატარე-



ბული საბჭოთა კავშირის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად რეგულარულად გამოდის რაზმებისა და რაზმეულების კედლის ზეითები, მოწყობილია ვ. ი. ლენინის მუზეუმები და სხვ.

სუსტად მუშაობს 75-ე საშ. სკოლის პიონერული ორგანიზაცია (უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. ღვათაძე). შემოწმების დროს რაზმებს არ პქონდათ სამუშაო გეგმები და ვალდებულებები. სექტიმბრის შემდეგ რაზმებში გაზეთი არ გამოუშვიათ, არა აქვთ ალბომები და აღრიცხვიანობა.

75-ე საშ. სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელის ამხ. ნ. ღვათაძის დაქინებული თხოვნის შემდეგ კვლავ ვეწვიეთ აღნიშნული სკოლის რაზმეულის საბჭოს; სამი დღის განმავლობაში სკმე ნაწილობრივ გამოუქსოვრებიათ.

საყვედურის ღირსია 76-ე საშ. სკოლის ღირექცია, პარტიული და პროთკავშირული ორგანიზაციები, რომელთაც დღემდე არ შეუწუებიათ თავი და არ დაინტერესებულან სკოლის პიონერული ორგანიზაციის მუშაობით.

კომკავშირის კომიტეტები შედარებით უკეთ მუშაობენ 28 ე, 66-ე, 74-ე სკოლებში, აღნიშნულ სკოლებში ორგანიზატორები ყურადღებას აქცევენ კომკავშირულ და პიონერულ მუშაობას. 74-ე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი კ. მიკირტიჩიანი სისტემატურად ატარებს ალკ კომიტეტის სხდომებს და კომკავშირულ კრებებს, იბრავს აქტუალურ საკითხებს; მაგ. ლ. ი. ბრეუნევის მოხსენება საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, შრომის ვეტერანების მიმართვა ახალგაზრდობისადმი, განხილული აქვს სექტორების მუშაობის საკითხი და სხვ.

75-ე საშ. სკოლაში კომკავშირის კომიტეტს (მდივანი სხვიტარიძე) მოკვარებული აქვს კომკავშირული მეურნეობა, მაკრამ ძალზე სუსტად მუშაობს პიონერული სექტორი.

65-ე საშ. სკოლის კომკავშირის კომიტეტს (მდივანი ზ. ლევივილი) სასწავლო წლის პირველ ნახევარში ჩატარებული აქვს გარკვეული მუშაობა, მაკრამ სასწავლო წლის მეორე ნახევარში სამუშაო გეგმაც კა არ ვააჩნია. ზ. ლევივილი არ არის დაინტერესებული კომკავშირული საქმიანობით, ვერ ერკვევა კომკავშირულ მუშაობაში.

შემოწმებულ სკოლებში გარკვეულ მუშაობას ეწვიან სახანგრძლივებელი დღის ჯგუფები. მასწავლებლებს აქვთ დღის რეჟიმი, სამუშაო გეგმები, ატარებენ სათანადო მუშაობას, ეხმარებიან



მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში, მაგრამ ბავშვებისათვის აუცილებელია გაკვეთილების შემდეგ შეიცვალოს გარემო, განახგრძლივებული დღის ჯგუფში ყოფნა არ უნდა წარმოადგენდეს გაკვეთილების გაგრძელებას.

შემოწმებული სკოლების ნაწილში (65-ე, 74-ე, 75-ე) ცუდადაა დაყენებული ბავშვთა კვების საქმე—არ ეძლევათ ცხელი სადილები.

შესწავლილ სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიზნით: ეწყობა ექსკურსიები, საუბრები პროფესიულ სასწავლებლებსა და წარმოებებში, არის პროფორიენტაციის კუთხეები. შესრულებულია პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლეთა გაგზავნის გეგმა.

28-ე საშ. სკოლაში 1971 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა საღამო, სადაც სიტყვით გამოვიდა მუსიკალური სკოლის დირექტორი, კომპოზიტორი ვ. ცაგარეიშვილი. მოეწყო მერვეკლასელთა ექსკურსია № 54 პროფტექნიკურ სასწავლებელში, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, სადაც გაეცნენ გამომთვლელი მანქანების მუშაობას, ალუმინის ჩამოსხმის პროცესს და სხვ.

სკოლაში მოწყობილია პროფორიენტაციის კუთხე, ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა შრომითი ბრიკადა, რომელიც ატარებს მცირე სარემონტო სამუშაოებს.

65-ე საშუალო სკოლაში შექმნილია შრომითი ბრიგადები, რომლებიც პერიოდულად მუშაობენ საშეფო ორგანიზაციაში. სკოლას კავშირი აქვს იმ პროფტექნიკურ სასწავლებლებთან, სადაც სწავლობენ ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები.

პროფორიენტაციის საქმე კარგად არის დაყენებული 66-ე საშუალო სკოლაში, სადაც შესანიშნავად მოწყობილი ავტოსახელოსნოა. სკოლის საქმიანობა, ამ მიმართებით, კინოფორზეც აქვთ აღბეჭდილი.

შემოწმებულ სკოლებში გარკვეულ მუშაობას ატარებს: ქართული ენისა და ლიტერატურის წრე მე-17 საშ. სკოლაში (ხელმძღვანელი ნ. დარჩია), სახვითი ხელოვნების წრე 65-ე საშ. სკოლაში (ხელმძღვანელი უ. ლონდარიძე), გეოგრაფიის წრე 75-ე საშ. სკოლაში (ხელმძღვანელი ი. ჭანტურია), ავტოსაქმის, მათემატიკის და სხვ. (66-ე საშ. სკოლაში).



აღნიშნული წრეების ხელმძღვანელებს უყვართ თავიანთი საქმე, წრის წევრთა ნამუშევრები მეტყველებს, რომ მათი მუშაობა უკმაყოფილებითია.

არადაამაკმაყოფილებლად მუშაობენ: 65-ე საშ. სკოლის რუსული ენის წრე (ხელმძღვანელი სირაძე), ამავე სკოლის ფიზიკის წრე (ხელმძღვანელი ა. ცერაძე), 75-ე საშ. სკოლის ისტორიის წრე (ხელმძღვანელი — ქ. ჯღარკავა), 74-ე საშ. სკოლის წრე, სპეც ხელმძღვანელები გაეროში ალბომების წარმოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი წრის ხელმძღვანელების მუშაობა თემების დამუშავებით შემოიფარგლება, თუმცა არ აქვს რეცეპტივიზი, წრეების სამუშაო გეგმებში არაფერია გათვალისწინებული სკკპ XXIV ყრილობის მასალების შესწავლასთან დაკავშირებით და სხვ.

შესწავლილ სკოლებში სათანადო მუშაობას წარმოებენ კლასის ხელმძღვანელები, მაგრამ მაინც შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი. სერიოზულ დარღვევებს ვხვდებით სკოლებში საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეში; მაგალითად: ჟურნალში არ შეაქვთ საკონტროლო წერის ნიშნები, არ არის დაჯამებული გაცდენები და სხვ. 29-ე სკოლის რიგი კლასების ჟურნალებში არ შეაქვთ დამუშავებული მასალა (VII<sup>1</sup> კლასში—ფიზიკასა და ქიმიაში (20. IX), VII<sup>1</sup> კლასში—ისტორიასა და რუსულ ენაში (28. XII) და ა. შ.

ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა მიერ გაცდენილ გაკვეთილებს, მაგალითად, 65-ე საშ. სკოლის IX კლ. მოსწ. მ. ჭ. 23, 24 და 25 იანვარს არ ყოფილა გაკვეთილებზე. გაცდენილი გაკვეთილები კლასის ხელმძღვანელ ლ. ქორიძეს საპატიოდ ჩაუთვლია მაშინ, როდესაც არავითარი ცნობა არ არის წარმოდგენილი. ასეთივე მდგომარეობა აქვთ ამავე კლასის მოსწავლეებს: ს. ჭ.-ს, მ. ბ.-ს, მ. ვ. ს და სხვ.

კლასის ხელმძღვანელები გულგრილობას იჩენენ მეოთხედური ნიშნების დაჯამების საქმეში 66-ე საშუალო სკოლის VI<sup>2</sup> კლასში ე. ა.-ს ქართულ ენაში II მეოთხედის განმავლობაში უწერია 3, 3, 3, მეოთხედური ნიშანი კი გამოყვანილია ზეპირში—4, წერაში—3, იმავე კლასის მოსწავლე ს. გ.-ს კი იგივე საკანში არც ერთი 2 არ მიუღია, მეოთხედური კი 2-ია გამოყვანილი.

დაუდევრად შედგენილი ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაც; მაგალითად, 28-ე საშუალო სკოლის მე-3 კლასის ხელმძღვანელს კ. ივანენკოს გეგმაში თითქმის ყველა მნიშვნელო-

F 3809



ვანი თარიღი შეუტანია, თუმცა ამ მოვლენებისადმი მიძღვნილი ნისძიებათა გატარება არ არის აღნუსხული, VIII კლასის ხელმძღვანელ მ. ბაიახჩევას მიერ ჩატარებული ღონისძიებანი და გეგმით გათვალისწინებული საკითხები ერთმანეთს არ ემთხვევა. ანალოგიური მდგომარეობა IX კლასშიც (ხელმძღვანელი მ. კალინიცკაია).

74-ე და 75-ე საშუალო სკოლების კლასის ხელმძღვანელებს კლასის საქმეები მოწესრიგებული აქვთ, სათანადო აღრიცხვაც არის, მაგრამ აქაც არ არის კონტაქტი პიონერულ რაზმებსა და კლასის ხელმძღვანელებს შორის. 75-ე სკოლის კლასის ხელმძღვანელები არც კი დაინტერესებულან თავიანთი რაზმების საქუშაო გეგმებით. IX<sup>2</sup> კლასის ხელმძღვანელს ამხ. კახელაშვილს და VIII<sup>2</sup> კლასის ხელმძღვანელს ამხ. ქ. ჯღარკავას არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ, არ შეუხსწავლიათ მოსწავლეთა ოჯახური პირობები, არ ჩაუტარებიათ მოსწავლეთა და მშობელთა კრებები.

შემოწმებულ რაიონებში არ არის რაიონული მეთოდგაერთიანებები. მუშაობა ამ მიმართებით წარმოებს სკოლებში.

კარგად მუშაობს კლასის ხელმძღვანელთა, ფიზიკის, მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები 29-ე საშ. სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება 65-ე სკოლაში და სხვ. მაგრამ, არის ნაკლოვანებანიც: 75-ე საშუალო საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებებს ხელმძღვანელობს დაწყებით კლასებში მომუშავე მასწავლებელი ვ. ძამუკაშვილი, ასეთივე მდგომარეობაა 65-ე საშ. სკოლაში, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანებას ასევე დაწყებით კლასებში დატვირთული მასწ. თ. რამიშვილი ხელმძღვანელობს.

დაწყებითი კლასების მუშაობა შესწავლილ იქნა თბილისის მე-17, 28-ე, 29-ე, 65-ე, 74-ე და 104-ე საშუალო სკოლებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, აგრეთვე უახლესი მეთოდური მითითებებით, დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მშობლიურ ენას, მათემატიკას, ბუნებისმცოდნეობას და სხვ. მაგრამ მათს მუშაობაში შეიმჩნევა ხარვეზებიც, რომელთა დროულად გა-

მოსწორება აუცილებელია: მშობლიური ენის სწავლებისას ზოგიერთი მასწავლებელი ნაკლები ყურადღებით ეკიდება მოსწავლე მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას, მხედველობიდან რჩება რიგი ასო-ბგერების გადაუბმელობა (მასწ. ი. ცხვარიაშვილი, მე-17 სკოლის II კლასი), უგულებელყოფს ანსაილი მასალის განმტკიცებებს (თ. ყაველაშვილი, 26-ე საშ. სკოლის III კლასი), ნაკლებ ყურადღებას აქცევს გრამატიკულ მასალაზე მეზობას და წინა გაკვეთილზე ახსნილი უცნობი სიტყვებისა და გამრთქმების გამოკითხვას (ბ. სავანელი, 29-ე საშ. სკოლის I კლასი, ამირაგვანი, მხითარიანი (74-ე საშ. სკოლა).

ნაკლოვანებები შეინიშნება დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლებაში. 65-ე საშუალო სკოლის მასწავლებლები ლ. ხელიაძე და ი. მანჯგალაძე ანგარიშს არ უწყვენ სასწავლო პროცესის აგების თავისებურებას და გაკვეთილებს კვლავ ძველებურად აგებენ. გაკვეთილის დიდ ნაწილს (15—20 წთ.) უთმობენ 2—3 მოსწავლესთან მასწავლებლის დიალოგს; ამ დროს მოსწავლეთა კოლექტივი დაუსაქმებელია და პასიური მყოფების როლში გამოდის. მასწავლებლები არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, არც გაკვეთილის გეგმებიდან, არც მოსმენილი გაკვეთილებიდან მკვეთრად არ ჩანს გაკვეთილის მიზანი: არაღმაკმაყოფილებელია გეგმის ხარისხი, მათში არ ჩანს გაკვეთილის მთავარი მომენტები (გაკვეთილის თემა, გაკვეთილის მიზანი, საშინაო დავალების შემოწმება, განვილი და ახალ მასალაზე შეშობა, დამოუკიდებელი სამუშაო, საშინაო დავალების მიცემა და სხვ.) ზოგჯერ საკლასო უქრნალებშიც არ ჩანს დამუშავებული თემის სახელწოდება.

აღნიშნული მასწავლებლების გაკვეთილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა ახალი მასალის წინათ შესწავლილ მასალასთან დაკავშირებას; სუსტი საფუძველი ეყრება მომდევნო გაკვეთილებზე დასამუშავებელი თემებისათვის ხიადაგის მომზადებას. ზოგიერთი მასწავლებელი ბოლომდე არ იცნობს სახელმძღვანელოს და მასში მასალის დალაგების ახალ სისტემას. აღნიშნული მასწავლებლები მცირე ადგილს უთმობენ ზებირ ანგარიშს.

მოსმენილ გაკვეთილებზე იკრძნობოდა ერთფეროვანი მასალის (ართმეტიკული მასალა) სიჭარბე; თითქმის არც ერთ გაკვეთილზე არ ყოფილა მუშაობა გეომეტრიულ მასალაზე; მოსწავ-



ლებებისათვის არ მოუწოდებიათ მოსაზრებულობის განმავითარებლობა  
 რაიქ სახის სავარჯიშო.

III კლასის მოსწავლეებს (მასწ. ი. მანჯგალაძე) უმარტივესი გეომეტრიული ფიგურების (მონაკვეთი, მაუთკუთხედი) ხაზვის ელემენტარული უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ.

ძოსამზადებელ და პირველ კლასებში არ იყენებენ მათემატიკური ხასიათის დიდაქტიკურ თამაშობებს. მასწავლებელთა მეთოდური არსენალი აქ სფეროში ძალზე ღარიბია.

ძოსმე ილ გაკვეთილებზე არც ერთი წუთი არ დათმობია მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. სუსტად იყენებენ თვალსაჩინობებს. სკოლას არ გააჩნია არც ერთი დიაფილმი და დიაპორხიტივი დაწყებითი კლასების მათემატიკის გაკვეთილებზე გამოსაყენებლად. მასწავლებლთა არ ზრუნავენ თავიანთი მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური ღონის ასამაღლებლად. აოადამაკმაყოფილებლად მუშაობს დაწყებითი კლასის მასწავლებელთა მეთოდათიანება (ხელმძღვანელი ლ. კარნაძე), სუსტია დირექციის კონტროლი და ხელმძღვანელობა დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლებისადმი.

გაკვეთილის მაღალი ორგანიზებულობით, მოსწავლეებისადმი მომთაბეზელობით გაძირჩევიან მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლები: ნ. ხუროძე (7ა-ე საშ. სკოლა), ქ. ფაჩხალაძე (29-ე საშ. სკოლა), ვ. გრიგორიანი (74-ე საშ. სკოლა), ე. ჩახაიანი, ა. გევორქიანი (104-ე საშ. სკოლა), ლ. კოჭენიკოვა, ფ. მათევეოსიაი (ნბ-ე საშ. სკოლა), გ. კირილოვა და ე. ურდია (28-ე საშ. სკოლა), ისინი კეთილსიადისიერად, საგნის ღრმა ცოდნით, მეთოდური ოსტატობით წარმართავენ ყოველ გაკვეთილს და კარგ შედეგებსაც აღწევენ. მათი მოსწავლეები კარგად ფლობენ პროგრამულ მასალას, წერენ და მეტყველებენ გამართულად, შეცდომების გარეშე.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებლად ფლობს სავანსა და ძისი სწავლების ხეობებსა და მეთოდებს, მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს კარგი შედეგები. ასეთ მასწავლებელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ქ. ხადირაშვილი (თბილისის მე-17 საშ. სკოლა), მ. პატარაია, ლ. ჯანყარაშვილი (75-ე საშ. სკოლა), ლ. ხიაიძე, თ. რამივილი (65-ე საშ. სკოლა), მ. პატარაიამ და ლ. ჯანყარაშვილმა ცალკეული გაკვეთილები საუკეთესოდ წარმართეს, მაგრამ ზოგიერთ კლასში არ ჩანს მათი კარგი მუშაობის



შედგვი. X<sup>1</sup> და X<sup>2</sup> კლასის მოსწავლეებმა, სადაც აღნიშნული პროგრამით შესწავლილი ლიტერატურული მასალის სუსტი ცოდნა გამოავლინეს.

თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ო. კუროჩკინა, ლ. კაჭარავა, ნ. ნერსესოვა, ს. როზანოვა, გ. მერაბოვა, ნ. ყაბინა, ს. არაქელოვა ფლობენ პროგრამულ მასალას და მუშაობისას არ უშვებენ უხეშ თეორიულ პროგრამულ და ფაქტობრივ შეცდომებს, თუმცა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მათ მუშაობაში შეიმჩნევა ნაკლოვანებანი, რაც შემდეგში მდგომარეობს:

აღნიშნული მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში იყენებენ ერთფეროვან ხერხებსა და მეთოდებს (იყენებენ მხოლოდ რეპროდუქციულ მეთოდს), არ ჩანს მისდამი შემოქმედებითი მიდგომა. ერთფეროვანია საშინაო დავალებები; არ იყენებენ დიდაქტიკურ მასალებსა და თვალსაჩინოებას. ყველა მასწავლებლის საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ ნაკლებად მუშაობენ მოსწავლეების მონოლოგიური მეტყველების ჩვევათა დანერგვაზე, ნაკლებად ზრუნავენ მათი მეტყველების ტექნიკის დახვეწაზე, არ ასწორებენ მოსწავლეთა საშინაო დავალების რვეულებს ან, თუ ასწორებენ, ადგილი აქვს შეცდომათა გაპარვის შემთხვევებს (მასწ. მაისურაძე), ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორების დროსაც (მასწ. სტეპანიანი). საკლასო ჟურნალებში მასალა შეაქვთ ცუდად (მასწ. კიბრინა), საკონტროლო წერის სახეები არ არის მითითებული, საკონტროლო წერის ნიმუშები არ შეაქვთ ჟურნალებში (მასწ. ყაბინა, მათევესიანი) და სხვ.

მეთოდგაერთიანების გეგმა არ ასახავს იმ მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა წინაშე წამოიჭრა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის პერიოდში. გეგმა არ ფორმდება ისე, როგორც ეს მოეთხოვება მნიშვნელოვან სასკოლო დოკუმენტს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ 28-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებენ კეთილსინდისიერად, გაკვეთილებს ატარებენ მეთოდურად სწორად, მოსწავლეებს აძლევენ მტკიცე ცოდნას.

ცუდად ასწავლის მშობლიურ (ქართულ) ენასა და ლიტერატურას კ. ჯღარკავა (65-ე საშ. სკოლა).



მასწავლებელმა გვადის დახასიათება ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვადან“ ვერ გამოიყვება მოსწავლეთა ეთიკური აღზრდის მიზნით. მან მაოლოდ სხვაში ქონების მითვისების დაგმობაზე ილაპარაკა.

მასწ. კ. ჯღარკავა გამოცდილი პედაგოგია, მიუხედავად ამისა, მუშაობაში აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. მასწავლებელი კლასში ვერ ამკარებს სათათბადო წესრიგს. VIII<sup>1</sup> კლასში მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაკვეთილის პროცესიდან გამოთიშული იყო, სხვა „საქმით“ ერთობოდა. 30 მოსწავლიდან წერთი დავალება შესრულებული აღმოაჩნდა მხოლოდ 14 მოსწავლეს (ისიც დაბალხარისხოვნად), საშინაო დავალების რვეულები მოუვლელი და არასწორად გაფორმებულია, მათ სრულებით არ ეტყობა მასწავლებლის ხელი.

გამოკითხულმა მოსწავლეებმა პროგრამული მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს. ისეთი მარტივი გრამატიკული კატეგორიის გარკვევაც კი გაუჭიოდათ, როგორცაა გაუმოუბათა სახეები. მოსწავლეები ძალზე ცუდად მეტყველებენ; ვერ ფლობენ გამომეტყველების კითხვის ტექნიკას.

გამოქანებულ მოსწავლეებს გაუჭიოდათ რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთება და სხვ.

მასწავლებელს გაკვეთილის პროცესში არ გამოუყენებია არავითარი თვალსაჩინოება, ვერც კლასის გააქტიურება მოახეხა. კ. ჯღარკავამ გაკვეთილის დროც ვერ გაანაწილა სწორად, მას განუმტკიცებელი დარჩა ახალი მასალა და საშინაო დავალებაც გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მისცა მოსწავლეებს.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა იმავე მასწავლებლის გაკვეთილი V კლასში (ლიტერატურა). გაკვეთილის თემა იყო აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“. მოსწავლეები მეტყველებდნენ ძალზე ცუდად. თხოვნის დროს დაშვებული შეცდომები მასწავლებლის რეაგირების გარეშე რჩებოდა (მაგალითად: „აკაკის მამა კარგი ხასიათისა იყო, როდესაც ძილის დროს არ გამოაღვიძებდნენ“). თვით მასწავლებელიც კითხულობდა ცუდად. ამიტომაც მოსწავლეები სრულებით არ უსმენდნენ. ძალზე დაბალია აღნიშნულ კლასში წერის კულტურაც.

65-ე საშუალო სკოლის X<sup>1</sup> და X<sup>2</sup> კლასებში ჩატარდა სასწავლებელმა კონტროლო წერა. თემები თვით საგნის მასწავლებლებმა (კ. ჯღარკავა და თ. კეთილაძე) შეარჩიეს X<sup>1</sup> კლასის (საგნის მასწავლებელი კ. ჯღარკავა) 21 მოსწავლიდან „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება დაიმსახურა 12-მა, დამატებითი შემოწმების შემდეგ კიდევ 4-მა მოსწავლემ მიიღო „2“, ხოლო X<sup>2</sup> კლასის (საგნის მასწავლებელი თ. კეთილაძე) 16 მოსწავლიდან 8-მ.

75-ე საშ. სკოლის IX კლასში ფაკულტატიური მეცადინეობის სააოები ეთმობა ქართულ ლიტერატურას, მაგრამ მათი რაოდენობა არ ემთხვევა პროგრამით გათვალისწინებულს—ნაცვლად 2 საათისა, ცხრილის მიხედვით 3 საათი ეთმობა. ამ სკოლაში კარგად ვერ ერკვევიან, როგორი ხერხებითა და მეთოდებით უნდა წარიმართოს ფაკულტატიური მეცადინეობა ქართულ ლიტერატურაში, 74-ე საშ. სკოლის VII—VIII კლასებში მშობლიური ენის ფაკულტატიურ მეცადინეობაზე მასწ. ხ. ოვანესიანი ასწავლის ძირითადი პროგრამის მასალას.

65-ე სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანებას ხელმძღვანელობს მასწავლებელი თ. რამიშვილი, რომელიც ძირითადად დაწყებით კლასებში ასწავლის, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის მეთოდგაერთიანების წარმატებით მუშაობას.

ქართული ენა ძირითადად დამაკმაყოფილებლად ისწავლება 28-ე (მასწ. ქ. ფაილოძე), 66-ე (მასწ. ჯ. ნიჟარაძე, ნ. შველიძე, მ. რუხაძე), 74-ე (მასწ. ე. თოდუა) და 104-ე (მასწ. ბ. იალბუზიძე) არაქართულ საშუალო სკოლებში; საგნის მასწავლებლები მტკიცედ მიჰყვებიან სასწავლო პროგრამას, ზრუნავენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასაძლიერებლად. მაგალითად: მასწ. ქ. ფაილოძე (28-ე საშ. სკოლა) მონდომებით მუშაობს და შედეგსაც აღწევს, მაგრამ აკლია მეთოდური დახელოვნება. მის გაკვეთილებს აკლია სათანადო ორგანიზებაც. სუსტად წარმართავს სალექსიკოხო მუშაობას, არ იყენებს დიდაქტიკურ მასალებს და სხვ.

მასწ. ბ. იალბუზიძე (104-ე საშ. სკოლა) შემცველი მასწავლებელია, მას აკლია გამოცდილება, რამაც გამოხატულება ჰპოვა კალენდარულ გეკმაში. იგი ნაკლებ დროს უთმობს მოსწავლეთა გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევების დანერგვას. წერიითი მუშაობის ჩატარების დროს ვერ ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს.



ჯ. ნიქარაძე და ნ. შველიძე (66-ე საშ. სკოლა) სუსტად წარმოადგინეს თავი სალექსიკონო მუშაობას, უყურადღებოდ ეყიდებიან საზოგადოებრივ დაავალბათა შესრულების საქმეს.

მასწ. ე. თოდუას (74-ე საშ. სკოლა) მოსწავლეებს IV<sup>2</sup> კლასში უჭირთ შემასმენლისა და ქვემდებარის გამოყოფა წინადადებიდან, მათი ურთიერთშეთანხმება ოცნხებში და სხვ.

მეთოდურად სწორად წარმართავენ გაკვეთილებს თბილისის მე-17, 29-ე, 74-ე და 104-ე პრაქტიკული საშ. სკოლის რუსული ენის მოსწავლეებზე. ისინი სათანადო ყურადღებას უთმობენ თეორიულ და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ამდიდრებენ მოსწავლეთა ლექსიკურ მარაგს, რითაც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას.

კარგად ასწავლის საგანს მასწ. თ. მრევლიშვილი (29-ე საშ. სკოლა), იგი გატაცებით მუშაობს გაკვეთილზე, უყვარს თავისი საქმე და წარმატებებსაც აღწევს.

მოსწავლებელმა ორგანიზებულად წარმართა გაკვეთილი VIII კლასში. იგი მოსწავლეებისაგან მოითხოვდა სრულ პასუხს და გამომეტყველებით წარმოთქმას. მან, მოსწავლეთა მეტყველების განვითარების მიზნით, კარგად ჩატარა საუბარი თემაზე: „ილია ჭავჭავაძე—ქართველი პოეტი და საზ. მოღვაწე“, რაც კარგად დაუკავშირა პროგრამ თ შესწავლილ თემას ნ. ა. ნეკრასოვზე.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მოსწავლეებზე: ე. ართთინოვა, ა. ხუბუნი, ლ. ხაჩიძე, თ. სუბატაშვილი, ნ. ასამბაძე (29-ე საშ. სკოლა), ე. თოდუა (74-ე საშ. სკოლა), ს. გოკიშვილი, ე. მ. მედვეა, ნ. აბესაძე, ნ. ცურკანი, ა. გორდაძე (75-ე საშ. სკოლა).

აღნიშნული მოსწავლეებები კარგად ფლობენ ენას, მეცადინეობას წარმართავენ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, რის შედეგადაც მათი მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად იცნობენ პროგრამულ მასალას და გააჩნიათ სათანადო წერისა და მეტყველების კულტურა. მაგრამ, მათს მუშაობაში შეიმჩნევა საერთო ხასიათის ნაკლოვანებანი, რაც შემდეგში მდგომარეობს:

სისტემატურად არ ტარდება ყველა კლასში, ყველა გაკვეთილზე საუბრები მეტყველების განვითარების მიზნით, სათანადო ყურადღება არ ექცევა რუსული ენის მართლწერის დაუფლების საკითხებს, გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა დანერგვას, სუს-

ტად მუშაობენ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან სისტემატურად არ ტარდება დამატებითი მეცადინეობა და სხვ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები: აკ. შონია, თ. ალიბეგაშვილი (მე-17 საშ. სკოლა), დ. ხითარიშვილი (28-ე საშ. სკოლა), თ. პაპავა, დ. ლომთაძე, ზარდიაშვილი (29-ე საშ. სკოლა), ე. ანანიანი, მ. ბაუმბერგი, ნ. ჯაგანოვა (66-ე საშ. სკოლა), გ. ბასილაშვილი, ნ. ჯანუაშვილი (75-ე საშ. სკოლა)\*

ისინი ორგანიზებულად ატარებენ გაკვეთილებს, სისტემატურად და გულდასმით ამოწმებენ კლასისათვის მიცემულ დავალებებს, მოსწავლეთა გამოკითხვის დროს აწარმოებენ განვლილი მასალის გამეორებას;

მაგრამ ზოგიერთი მასწავლებელი ვერ ახერხებს გამოკითხვის პროცესში კლასის ჩაბმას, მთელი ყურადღება მხოლოდ დაფასთან გამოძახებული მოსწავლეებისაკენ აქვს მიპყრობილი (მასწ. თ. ალიბეგაშვილი, მე-17 საშ. სკოლა), გაკვეთილის მსვლელობის დროს აყენებს მხოლოდ ისეთ საკითხებს (განსაზღვრა, თვისება, ნიშანი), რომელნიც მოსწავლეთა მხოლოდ ბეჯითობას ავლენენ და არა ისეთ საკითხებს, რომელნიც მოითხოვენ მოსწავლის დამოუკიდებელ აზროვნებას (მასწ. დ. ხითარიშვილი, 28-ე საშ. სკოლა).

ამის შედეგად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, რაც ყველაზე ხშირად საკონტროლო წერების ჩატარებისას იჩენს თავს; ასე მაგალითად, 29-ე საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწ. მ. სარაული) ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დაიმსახურა „4“ და „5“ მაშინ, როცა შეფასება „2“ მიიღო მოსწავლეთა ნახევარზე მეტმა.

66-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ეჯუბოვამ VII კლასში რაციონალურად ვერ გამოიყენა დრო. სანამ მასწავლებელი ამოწმებდა საშინაო დავალების შესრულებას, კლასი უსაქმურად იყო. ფრონტალური გამოკითხვის დროს წიგნები გადაშლილი ჰქონდათ. მოსწავლეები ცუდად იცნობენ გეომეტრიულ ტერმინებს, ისინი კუბის წიბოებს კუბის გვერდებს უწოდებენ. თემის—„კუბის ზედაპირი“ ახსნისას მასწავლებელს არ გამოუყენებია თვალსაჩინოება მოსწავლეებს გაუჭირდათ განვლილი მასალიდან კვადრატის ფართობის გამოანგარიშება. ვარდა ამისა, კლასმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმო სრულიად მარტივი ამოცანების ამოხსნას. მასწავლებელი ვერ ახერხებს კლასის მთლიანად ჩაბმას მეცადინეობის



პროცესში, ვერ ამყარებს მტკიცე დისციპლინას, რაც კიდევ უფრო აფერხებს გაკვეთილის ეფექტურობას.

მასწ. მ. ევჯობოვას აკლია მეთოდური დახელოვნება, მისთვის აუცილებელია პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება.

მასწავლებელი ა. გ. გიორგობიანი (28-ე საშ. სკოლა) სრულყოფილად არ არის დაუფლებული X კლასში მათემატიკის საპროგრამო მასალას და მისი სწავლების მეთოდებს. ასე მაგალითად, X კლასში გეომეტრიის გაკვეთილი განვლილი მასალის განმეორებით დაიწყო. წერითი დ ვალემა კლასს არ ჰქონდა. კლასმა არ იცოდა ისეთი ელემენტარული საკითხებიც კი, როგორცაა პრიზმის, პირამიდისა და მათი პირეულების განსაზღვრა, უშვებდნენ უხეშ შეცდომებს („პრიზმის გვერდითი პირეული პერპენდიკულარული კვეთის პერიმეტრისა და სიმაღლის ნამრავლია“; „წაკვეთილი პირამიდის გვერდითი პირეული ეტოლება  $\frac{an+bn}{2}$ “ (დასხვ.). მასწავლებელი ამ შეცდომებს ვერ ამჩნევს.

ახალი მასალის — „ბრუნვითი სხეულების“ ახსნისას ა. გ. გიორგობიანმა უქმად დახარჯა დრო: ნაცვლად იმისა, რომ განმარტა ბრუნვითი მოძრაობის არსი, განეხილა წერტილის ბრუნვა წრის გარშემო, ხოლო შემდეგ — მონაკვეთის ბრუნვა წრის გარშემო და ეჩვენებინა ცილინდრის პირეულის ნაწილის მოდელი; ერთ-ერთ მოსწავლეს დაავალა სახელმძღვანელოში მოცემული ოთხი ნახაზი გადაეხაზა დაფაზე (სხვა მოსწავლეებმა კი იგი საშინაო დ ვალეების რვეულებში გადაიტანეს). ნახაზების ზერეულე განხილვის შემდეგ მოსწავლეებს ჩააწერინა სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებები

ასეთივე „წარმატებით“ ჩაატარა მასწავლებელმა იმავე X კლასში ალკებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი. მან „ახსნა“ „ნაწილობრივი ვალოკაროთმება“ (მაშინ, როცა მაჩვენებლიანი და ლოგარითმული განტოლებები გავლილი აქვს(!), მისცა მაგალითი  $x = \sqrt[3]{0,836} + \sqrt[3]{2,324}$ , რომლის ამოხსნის პროცესში დადგინდა, რომ კლასმა არ იცის ლოგარითმის განსაზღვრა, ხარისხისა და ფესვის ლოგარითმის გამრავლება და გაყოფა რიცხვზე.

ადნიშნული მასწავლებლის მიერ გასწორებელი საკონტროლო წერითი ნამუშევრების განხილვისას აღმოჩნდა, რომ მას ხშირად რჩება შეუმჩნეველი მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები.



კარგად ასწავლიან ფიზიკას თბილისის 66-ე საშ. სკოლაში (მასწავლებლები—დონ. არა მანუკიანი და მარიამ მალკინა), 74-ე საშ. სკოლაში (ნ. ნახარიანი), ეს მასწავლებლები გამოირჩევიან მაღალი თეორიული მომზადებით და ფლობენ საგნის სწავლების მრავალფეროვან ხერხებსა და მეთოდებს. ისინი საგნის სწავლებას მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეცილებიან და მოსწავლეთა დიდი ნაწილიც ამჟღავნებენ თეორიულ მასალას კარგ ცოდნას და მოხერხებულად იყენებს ამოცანების ამოხსნისას და ლაბორატორიული მუშაობის დროს. იგივე შეიძლება ითქვას თბილისის 29-ე საშ. სკოლის მასწ. ნ. ქვათაძის მიმართ, რომელსაც საგნის კარგ ცოდნასთან ერთად, მასალის კარგად გადაცემის უნარიც აქვს იგი ახალი მასალის ახსნის დროს აქტიურად იყენებს ცდებსა და სათანადო დემონსტრაციებს, რითაც აძლევს გაკვეთილის ეფექტურობას.

არაღამაკმაყოფილებად ისწავლება ფიზიკა 65-ე საშ. სკოლაში (მასწ. ა. ცერაძე, ა. არჩვაძე).

X კლასის მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის მექანიკური რეზონანსის მოვლენა, მისი გრაფიკის ახსნა, ჰარმონიული რხევა, ჰარმონიული რხევის კანონები და სხვ.

IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან თმის კანონი წრედის უბნისათვის, წინააღმდეგობის ერთეული, კუთრი წინააღმდეგობა, ძალის სიმკვრივე და სხვ.

VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან, რაში მდგომარეობა სტატისტიკური პარადოქსი, წნევის ერთეულები და სხვ.

მასწ. ა. არჩვაძე ვერ ახდენს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზაციას და სწავლებაში აქტიურობის პრინციპის დანერგვას. ხშირად ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ანალიზს არ უკეთებს მათ. ხშირად თვითონაც უშვებს შეცდომებს (ამოცანის პირობის ჩაწერისას აღნიშნა, რომ წყლის სიმკვრივე 1300 ნიუტონია(?)), ხოლო მახლოებით შეიძლება მივიღოთ, რომ

$$100 \frac{6}{38} (?).$$

თბილისის 75-ე საშ. სკოლაში ფიზიკას ასწავლის შემცველი მასწავლებელი ჯ. ლობნელიშვილი. მისი თეორიული მომზადების დონე კარგია, მაგრამ ჯერჯერობით იგი ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს.



მე-17 საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტს აქვს ყველა ტექნიკური საშუალება, რომ სწავლება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ხედვით წარიმართოს, მაგრამ უცნაური რამ ხდება: მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტში ორი ტექნიკურად გამართული კინოაპარატია, იგი არ არის დამონტაჟებული და სასწავლო ფილმებს სპეციალურად შექმნილ ტექსტიკურ კაბინეტში უჩვენებენ. კაბინეტი არ არის მექანიზებული, ლაბორატორიული მაგიდები არ არის ელექტროფიცირებული, რაც ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

თბილისის 65-ე საშუალო სკოლამ (ა. ცერაძე) წელს მიიღო ფიზიკის კაბინეტისათვის ხელსაწყოებისა და ტექნიკურ საშუალებათა სრული კომპლექტი (კოდოსკოპისა და „ლეტის“ გარდა), მაგრამ კარადების ძველი ხელსაწყოებით გადატვივრებისა და ახალი კარადების უქონლობის გამო იგი ჯერ კიდევ გამოუყენებელია. კაბინეტს არ აქვს ეკრანი, ხოლო დაბნელება პრიმიტიულია.

თბილისის 66-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტიც (გამგე დ. მანუკიანი) ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს: ხელსაწყოთა მეტი ნაწილი მოძველებულია, რამდენჯერმე არის რესტავრირებული აგრეთვე კინოსაპროექციო აპარატი „უკრაინა“. ლაბორატორიული სამუშაოების ნაწილის ჩატარება ვერ ხერხდება.

სათანადო სიმალღეზე არ დგას დირექციის კონტროლი და დახმარება ფიზიკის მასწავლებლებისადმი. დირექტორებსა და მათ მოადგილეებს სასწ. მუშაობის დარგში ფიზიკის გაკვეთილები მოსმენილი აქვთ არასაკმაო რაოდენობით. ამასთან, ძათი ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში, გაკვეთილის პროცესის აღწერას წარმოადგენს, ხოლო მითითებები ზოგადია.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია მე-17, 66-ე, 74-ე, 104-ე საშუალო სკოლაში, სადაც საგანს სათანადო განათლებისა და გამოცდილების სპეციალისტები ასწავლიან. ისინი წარმატებით იყენებენ მოსწავლეებთან მუშაობის მრავალგვარ ხერხსა და მეთოდს, აქტიურად აბამენ მოსწავლეებს მუშაობაში; ახალი მასალის ახსნასა და გამოკითხვას აწარმოებენ სათანადო მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე, რითაც კარგ შედეგებს აღწევენ.


მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება ხარვეზები: გაუმჯობესებას მოითხოვს სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების, საკონტროლო წერების ჩატარების მეთოდები და ხარისხი.



სისტემატური ხასიათი არ აქვს განვლილი მასალის გამეორებას. მაქსიმალურად არ გამოიყენება სწავლებ.ში ქიმიის კაბინეტში სასიამოვნო გამოჩაქისად უნდა ჩაითვალოს 29-ე საშ. სკოლის მასწ. თ. რობიტაშვილი, რომელიც შესანიშნავად ფლობს მასალას და კარგ შედეგებსაც აღწევს.

დაბალ დონეზე ასწავლის ქიმიას 65-ე საშ. სკოლის მასწავლებელი ე. ბაღაშვილი, იგი ვერ ფლობს კლასთან მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, ვერ აბამს მოსწავლეებს მუშაობაში. გამოძახებულ მოსწავლეებს არ აძლევს დამოუკიდებლად მსჯელობის საშუალებას, ხშირად ერევა თხოობის პროცესში. გაკვეთილზე მიმდინარეობს განუწყვეტელი არაფრისმოძვემი დიალოგი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. კლასი კი თავის ნებაზეა მიშვებული. მოსწავლეები ვერ გრძობენ პასუხისმგებლობას, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის. მასწავლებელი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, რ ეცნობა საკნის სწავლების გაუქობებისათვის დანერგილ სიახლეებს. მასწ. ე. ბაღაშვილის გაკვეთილზე უგულვებელყოფილია ექსპერიმენტის როლი ქიმიის სწავლებაში; იშვიათად ტარდება სადემონსტრაციო ცდები, პრაქტიკული სამუშაოები და საკონტროლო წერები. ყოველივე ამის გამო დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე (X<sup>2</sup> კლასში, სადაც აღნიშნული პედაგოგი ასწავლის, მოსწავლეები შეცდომით წერენ რეაქციათა განტოლებებს და ფორმულებს

$$\left( \text{CH}_4 + \text{O}_2 = \text{C} - \overset{\text{O}}{\text{C}} \right),$$
 ვერ აღგენენ მეთანიდან ძმარმჟავას მიღების რეაქციათა განტოლებებს, ვერ წერენ მარტივი ეთერების ფორმულებს, არ იციან სპირტების ნომენკლატურა. ამ უკანასკნელზე თვით მასწავლებელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს:



ცდომით დაასახელა—„მეთილ-ბუთილის სპირტი“. მსგავსი მდგომარეობაა ყველა იმ კლასში (IX<sup>1</sup>—IX<sup>2</sup> კლ.), სადაც ე. ბაღაშვილი ასწავლის.

მუშაობაში სერიოზული ხარვეზები აქვთ მასწ. ა. ჩხარტიშვილსა და გ. მამალაძეს (75-ე საშ. სკოლა). მათ უმაღლესი განათლება და საკმაო პედაგოგიური სტაჟი აქვთ. მართალია, ზოგიერთი გაკვეთილი დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმ მუშაობისა, რასაც მასწავლებლები უნდა ეწეოდნენ.



X<sup>1</sup> კლასის (მასწ. გ. მამალაძე) მოსწავლეებს არასრული წარმოდგენა აქვთ რთულ ეთერებსა და ორმაკი ბმის ბუნებაზე უნაჯერ ნახშირწყალბადებში. ახალი მასალის—გლუკოზას ქიმიური თვისებების ახსნისას მასწავლებელმა ვერ მოახერხა სადემონსტრაციო ცდების ჩვენება, ვერცხლის სარკის რეაქციის ჩატარება მიანდო მოსწავლეს, რომელმაც ვერ შეასრულა ეს დავალება; არ იყო დემონსტრირებული გლუკოზის ნიმუში, მისი წყალში ხსნადობა, მოლეკულებში ჰიდროქსილის ჯგუფების აღმოჩენა, რეაქცია სპილენძის აღდგენაზე და სხვ.

VII<sup>2</sup> კლასში (მასწ. გ. მამალაძე) ჩატარდა საკონტროლო წერა. მიუხედავად იმისა, რომ საწერად აღვილი თემები იყო მიცემული, მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ შეძლო სწორი და ამომწურავი პასუხების გაცემა.

VIII<sup>1</sup> კლასში (მასწ. ა. ჩხარტიშვილი) გაკვეთილზე გამოძახებულ იქნენ შედარებით ძლიერი მოსწავლეები, რომელთაც იცოდნენ გაკვეთილი—„ქლორწყალბადი, ქლორის ნაერთები ბუნებაში“, მაგრამ ბევრი მოსწავლე ყურადღების მიღმა დარჩა. ზოგჯერ მასწავლებელი ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და, რაღა თქმა უნდა, არც ასწორებს მათ. არასრულყოფილად იქნა დახასიათებული სუფრის მარილის გამოყენება. მოსწავლეებს არ აქვთ მიცემული ჟანგეულის ზუსტი განმარტება. სრული წარმოდგენა არ აქვთ დაჟანგვის ხარისხზე. ახალი მასალის—„მარილმჟავა, მარილმჟავას მარილები“ ახსნისას არასაკმარისად იქნა გაშუქებული მარილმჟავას მარილების თვისებები და გამოყენება; ჩამორიგებული და ნაჩვენები არ იყო ქლორიდების ნიმუშები, სათანადოდ არ გამაზვილდა ყურადღება მათ გამოყენებაზე, სრულყოფილად არ ჩატარდა ქლორიდების გამოსაცნობი რეაქციები, არაფერი თქმულა ვერცხლის ქლორიდზე, რომელიც ფოტოგრაფიაში გამოიყენება.

IX<sup>1</sup> და IX<sup>2</sup> კლასების (მასწ. ა. ჩხარტიშვილი) მოსწავლეებმა დაწერეს ნატრიუმისა და კალიუმის წყალთან, ჟანგბადთან, ქლორთან ურთიერთქმედების რეაქციების განტოლებები, მაგრამ არ იცოდნენ ამ მეტალების მარილებთან ურთიერთქმედების პირობები, სუსტად იციან ჰიდროლიზი (განვლილი მასალა). ახალი მასალის ახსნის დროს არაფერი თქმულა ნატრიუმისა და კალიუმის ნაერთების გამოცნობაზე, არ ჩატარებულა ცდები ამ მეტალების ნაერთების მიერ ალის შეფერადებაზე, მოწავლეებმა სრულყოფილი პა-



სუხი ვერ გაცეს კითხვებზე მუავების ელექტროლიტური დისოციაციის, ელექტროლიზის და აზოტმუავეას წარმოების შესახებ.

ხარვეზები მოსწავლეთა ცოდნაში, რაც განვლილი მასალის გამოკითხვისას გამოვლინდა, გამოწვეულია იმით, რომ სისტემატურად არ ხდება განმეორება და ცოდნის განმტკიცება, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სადემონსტრაციო ცდა, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, რაც აუცილებელია მასალის შეგნებულად გაგებისა და დამახსოვრებისათვის.

ქიმიის სწავლების წარმატებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ შემოწმებულ სკოლებს არ აქვთ მოწყობილი სრულყოფილი კაბინეტი 65-ე და 75-ე საშუალო სკოლებში ქიმიის კაბინეტებისათვის გამოყოფილია ორ-ორი ოთახი. არც ერთ კაბინეტს არა აქვს ამწოვი კარადა, ოთახის დაბნელება, მოსწავლეთა სპეციალური მაგილები წყალგაყვანილობით, სკოლებში კაბინეტები სათანადოდ არ არის შევსებული რეაქტივებით, ჭურჭლებითა და ხელსაწყოებით. 65-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტში არის ებიდიასკობი, დიაპოზიტეები, წყლის გამოსახდელი აპარატი, ვაზომეტრი, კიპის აპარატი და სხვ., მაგრამ გამოუყენებელია. რაც შეეხება 104-ე სკოლას, ქიმიისათვის კაბინეტი არ არის გამოყოფილი ასე მოკლედ კლას-კაბინეტი გააჩნია.

დასახელებული სკოლების ქიმიის კაბინეტებში ძალზე მცირა ორგანიზაცია მოსწავლეთა ძალებით დაზრდებული თვითნაკითხელსაწყოები, მოდელები, სტენგები, დიაგრამები. არ აქვთ ჩამოსარიგებელი მასალა ქიმიის კურსის მიხედვით, მოუგვარებელია რეტარებული მუშაობის აღრიცხვა, დარღვეულია რეაქტივებისა და ვა მასალების შენახვისა და დაცვის წესები. არ აქვთ კაბინეტებში პირველი დახმარების საშუალებები უბედური შემთხვევისათვის.

29-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტში ყველა არსებული რეაქტივი და ხელსაწყო გამოყენებულია სწავლებაში, მაგრამ ქიმიის კაბინეტის ფართობები არ არის სამარისი, მაიღები კედელზეა მიდგმული, ამიტომ მასწავლებელს არ აქვს საშუალება, რომ ყველა მოსწავლესთან მივიდეს და თვალყური ადევნოს მათ მუშაობას.

კარგად ასწავლის ბიოლოგიას მასწ. ქ. ბახტაძე (29-ე საშ. სკოლა). მან დამაჯერებლად ახსნა ახალი მასალა—“ფრინველების მრავალნაირობა“ VIII კლასში. ესაუბრა მოსწავლეებს ამ თემაზე



და სხვა. მასწ. ქ. ბახტაძე პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეების რეგულარულად ატარებს საკონტროლო წერებს და ნამუშევრებს ასწორებს დროულად და მაღალხარისხიანად. ასევე, მაღალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს ზოგად ბიოლოგიაში მასწ. მასწ. ს. დილბარიანი (104-ე საშ. სკოლა).

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ბიოლოგიას მასწ. ტ. კისელევა და ლ. ჯაფარიძე (66-ე საშ. სკოლა), ტ. სარქისიანი (74-ე საშ. სკოლა) და სხვ. ისინი ფლობენ სავანს, გაკვეთილებს ატარებენ სწორად, მეთოდის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაკრამ მუშაობაში გააჩნიათ ცალკეული ხარვეზები; ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მოსწავლეთა მომზადების დონე, ნაკლებად იყენებენ გაკვეთილებზე თვალსაჩინოების მასალებს, უყურადღებოდ ეპყრობიან მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის განვითარების საქმეს, არ ატარებენ საკონტროლო წერას, რვეულებში არ ჩანს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა.

არადაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამყდუნეს ბიოლოგიაში 29-ე საშ. სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ი. ბურჭულაძე). ისინი ვერ ერკვევიან იმაში, თუ რით განსხვავდება მცენარის სუნთქვა ნახშირორჟანგით მცენარის კვებისაგან; მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმაზე, რომ ეს ორი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს მცენარეში. მოსწავლეები ვერ ერკვევიან ფოთლებით წყლის აორთქლების მნიშვნელობაში.

მასწ. ნ. გელაშვილი საკონტროლო წერებს ატარებს არარეგულარულად, მას აღმოაჩნდა მხოლოდ X კლასის მოსწავლეების საკონტროლო წერის რვეულები, ჩატარებული აქვს მხოლოდ ორი საკონტროლო წერა და 1972 წლის 21 დეკემბერს შესრულებული ნამუშევრები ჯერაც არ გაუსწორებია.

ბიოლოგიის სწავლების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო კაბინეტი. მის გამართულობაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმატება სავანის სწავლების საქმეში. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მე-17, 29-ე, 66-ე საშუალო სკოლებში, თუმცა აქაც არის ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაზე ზრუნვა, პირველ რიგში, აღნიშნული სავანის მოსწავლეებელთა ვალია.

დამაკმაყოფილებლად ფლობენ ფრანგულ ენას მოსწავლეებელი ე. ასათიანი და ლ. გიგუაშვილი (104-ე საშ. სკოლა). ორივე მასწავლებელს აქვს საკმაო გამოცდილება. ისინი ძირითადად სწორად

წარმართავენ გაკვეთილს, თუმცა მათ მუშაობაში შეინიშნება გვერდითი ნაკლოვანებანიც; მაგალითად: ლ. გიგუაშვილი გამოკითხვის პროცესში არ იყენებს დაფას, ნაკლებად ზრუნავს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. არც ერთი პედაგოგი (ე. ასათიანი, ლ. გიგუაშვილი) არ იყენებს სწავლებაში ტექნიკურ საშუალებებს

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ინგლისური ენა მე-17, 28-ე, 29-ე, 65-ე, 66-ე სკოლებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები დამაკმაყოფილებლად ფლობენ ენას, მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს არსებითად სწორად წარმართავენ. საგნის სწავლებლის საქმეს.

75-ე სკოლაში ინგლისური ენა გაძლიერებულად ისწავლება. აქ, ამ კლასებში საგანს 9 მასწავლებელი ასწავლის:

მასწ. ლ. ცინცაძე კარგად ფლობს ინგლისურ ენას, გაკვეთილს უცხოურ ენაზე ატარებს და კარგ შედეგებსაც აღწევს. მისი მოსწავლეები საუბრობენ უცხოურ ენაზე და მომზადების დონეც დამაკმაყოფილებელია.

მასწავლებლებმა: ლ. ბელოძემ, ე. ყუშიტაშვილმა, ა. გორდენიანმა ენა დამაკმაყოფილებლად იციან, მაგრამ გაკვეთილს მაინც ქართულ-რუსურ ენაზე ატარებენ. არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებას, რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ ცოდნა, რომელიც ამ ტიპის სკოლას მოეთხოვება.

ც. ჯანაშია, ნ. ნაკაიძე, მ. დავითაშვილი დამწყები მასწავლებლები არიან. მათ ესაჭიროებათ მეთოდური დახმარება.

თ. შაჩიძე ინგლისურ ენას ვერ ფლობს იმდენად, რომ ასეთი ტიპის სკოლაში მუშაობდეს, ამიტომ, 1973 წლის 22 თებერვლის კოლეჯის გადაწყვეტილებით, ის გადაყვანილ უნდა იქნეს იმ სკოლაში, სადაც უცხოური ენა V კლასიდან ისწავლება. ამ სკოლაში ერთ-ერთ IX კლასში გერმანული ენაც ისწავლება, სადაც მასწ. ც. კალანდაძე და ნ. ნიკოლაიშვილი ასწავლიან ც. კალანდაძის გაკვეთილზე დასწრება ვერ მოხერხდა. ნ. ნიკოლაიშვილი საგანს არაღამ-კმაყოფილებლად ასწავლის. ის გაკვეთილზე მოუმზადებელი ცხადდება. კითხვისა და თარგმნის მეთოდია დომინირებული, არავითარი ყურადღება არ ექცევა ზემოთ მეტყველებას და კითხვის წესებსაც კი, რომ არაფერი ეთქვათ „შმლაუტებზე“, რის შედეგადაც მოსწავლეების მომზადების დონე მეტად დაბალია, მათ კითხვაც კი არ იციან.



ასევე არაღამაკმაყოფილებლად მუშაობს VIII კლასში ნ. ბანცაძე, რომელიც ინგლისურ ენას გაძლიერებული სწავლების პროგრამით არ ასწავლის. ნ. ბანცაძე არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ მუშაობს თავისი თეორიული და მეთოდური დონის ასამაღლებლად და ამიტომ არის, რომ მისი მოსწავლეების მომზადების დონეც მეტად დაბალია. ასევე დაბალია კიოხვისა და წერის ტექნიკაც.

სკოლაში მუშაობს მეთოდგაერთიანება და მის ხელმძღვანელად რატომღაც თ. მაჩაიძე არის დანიშნული. თემები მეტად აქტუალურია. მოხსენებებიც კვალიფიციურად არის არის დაწერილი, მაგრამ არც ერთი მასწავლებელი ამ მოხსენებაში მოტანილ აზრებს თავის მუშაობაში არ იყენებს, რისთვის დაიწერა ეს მოხსენებები, გაუგებარია(!)

უცხოური ენების მასწავლებლები არ ასწორებენ საკლასო-საშინაო დავალების რვეულებს, საკონტროლო წერის ნორმები შესრულებულია.

მაღალ დონეზე ასწავლიან ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობას ნ. კობერიძე (65-ე და 75-ე საშ. სკოლები), მ. გვიჩია, ი. დებროვსკაია, ი. კაჭიანი, ა. ტარაევა, ჯ. შტენბერგი (66-ე საშ. სკოლა), ნ. ბულისკირია, ე. ს. ებრალიძე (29-ე საშ. სკოლა), ს. ხომერიკი (მე-17 საშ. სკოლა).

ისინი პროგრამულ მასალას წარმატებით უკავშირებენ ცხოვრებისეულ მაგალითებს, რის შედეგადაც მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ სავანს, აქვთ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა. თუმცა, ამასთან, მათი მუშაობის საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მაქსიმალურად ვერ იყენებენ თვალსაჩინოებას, განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობენ ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას.

არაღამაკმაყოფილებლად ასწავლიან ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობას ქ. ჯღარკავა (75-ე საშ. სკოლა), შ. ზ. ხუციშვილი, მ. ივანოვა (28-ე საშ. სკოლა).

ქ. ჯღარკავამ (75-ე საშ. სკოლა) სუსტად ჩაატარა გაკვეთილები IX<sup>1</sup> და IX<sup>2</sup> კლასებში. IX<sup>2</sup> კლასში გამოსაკითხი იყო წინა მასალა: „კორნილოვშიჩინის განადგურება. საბჭოების ბოლშევიზაცია“. გამოძახებული მოსწავლეები თემის თხრობისას ვერ იცავდნენ თანმიმდევრობას, მასალას გადმოსცემდნენ ისე, როგორც გაახსენდებოდათ. საკითხს ვერ იხილავდნენ მიზეზ-შედეგობრივ



კავშირში, უჭირდათ ისტორიული მოვლენებისათვის დასკვნების გაკეთება; მაგალითად, არ იცოდნენ კორნილოვის მიერ ქრისტეანული გერმანელებისათვის დატოვების მიზეზი; არ იცოდნენ, რა ღონისძიებები გაატარეს მუშებმა, ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა პეტროგრადის დასაცავად. ფრონტალურ კითხვებზე პასუხს ძირითადად ოთხი მოსწავლე იძლეოდა, დანარჩენები პასიური მსმენელის როლით კმაყოფილდებოდნენ.

IX<sup>1</sup> კლასშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო. მასწავლებელმა ახალი მასალის გადაცემისას საკითხი ვერ განიხილა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ისტორიულ მოვლენებს არ გამოყოფდა და არ იძლეოდა საჭირო დასკვნებს; დოკუმენტური მასალებში არ გამოუყენებია.

მასწ. ზ. ხუციშვილს (28-ე საშ. სკოლა) გაკვეთილებზე არ გამოუყენებია თვალსაჩინოება. იგი უყურადღებოდ ტოვებდა მოსწავლეთა პასუხებში დაშვებულ ლოგიკური ხასიათის შეცდომებს (მაგალითად, მოსწავლემ უპასუხა: „ისინი მოიპოვებენ ქვანახშირს, ბამბას (ბამბა მოჰყავთ)“, დაასახელეს ამიერკავკასიის რესპუბლიკები: თბილისი, ერევანი, აზერბაიჯანი).

თვით მასწავლებლის საუბარიც არ არის თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან. „Горки Ленинские“—ასე იწოდებოდა საღვურთ ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ“, ხოლო ილიჩის მავზოლეუმის შესახებ საუბრის დროს მან დაასახელა პალიკარნასის მავზოლეუმი ყოველგვარი განმარტების გარეშე და ა. შ.

იმვე ზ. ხუციშვილმა VI კლასში თემის—„მეურნეობისა და კულტურის განვითარება ინდოეთში“ გადაცემისას განაცხადა, რომ „ტაჯ მაჰალი“ არის რაჯების განსასვენებელი, არ გამოუყენებია არავითარი თვალსაჩინოება, მოსწავლეთა ცოდნაც მბღლოდ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ შეაფასა.

ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა მასწ. მ. კ. ივანოვას გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში (VII კლასი). საშინაო დავალების „საქართველო თათარ მონღოლთა ბატონობის ქვეშ“ გადმოცემის დროს მოსწავლეებმა დაუშვეს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები, რაც არ გასწორებულა მასწავლებლის მიერ; მაგალითად: „თამარ მეფეს თითქმის არ გააჩნდა ძალა-უფლება; ქმარიც კი ფეოდალებმა შეურჩიეს“. მოსწავლეები ხმარობდნენ ისეთ გამოთქმებს, რომელთა მნიშვნელობაც მათ არ ესმოდათ. მათ მიერ არასწორად იქნა გა-



შექმეული მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერის მნიშვნელობა მკრამ მასწავლებელს საჭირო რეაგირება არ მოუხდენია.

მოსწავლეები წიგნს ფურცლავდნენ და იქ ეძებდნენ კითხვებზე გასაცემ პასუხებს.

თვით მასწავლებელმაც დაუშვა უხეში შეცდომები ახალი მასალის ვად ცემისას; მაგალითად, XIV საუკუნის დასაწყისის ქართველი მეფეების დავით რუსუდანის ძისა და დავით ლაშას ძის ნაცკლად დაასახელა დიმიტრები. აქასთან, განაცხადა, რომ 1314 წ. დასავლეთ საქართველოში გამეფდა გიორგი V, მას სურდა შემოეერთებინა აღმოსავლეთ საქართველო. იგი შეიჭრა აღმოსავლეთ საქართველოში და დაიპყრო ქ. ქუთაისი(!).

ასევე სუსტად ჩაატარა გაკვეთილი აღნიშნულმა მასწავლებელმა X კლასში, გამოკითხულმა მოსწავლემ სუსტად იცოდა განკლილი მასალა, ხოლო ფრონტალურ კითხვებზე მოსწავლეებმა მხოლოდ სახელმძღვანელოს დახმარებით გასცეს პასუხები. მართალია, მასწავლებელმა ახალი მასალა— „სკკპ XXII ყრილობა“ კარგად ახსნა, მაგრამ მას გაკვეთილზე სრულებით არ გამოუყენებია რუკა, რის გარეშეც წარმოუდგენელია ისტორიის გაკვეთილი.

შესწავლილ სკოლებში, ბუნებრივია, მუშაობენ საგნობრივი წრეები. კარგი მუშაობით გამოირჩევა ისტორიის წრე 66-ე საშ. სკოლაში (აელმძღვანელი მ. გვიჩია). ნაკლოვანებანი ახასიათებს ისტორიის წრეების მუშაობას მე-17 და 65-ე საშ. სკოლებში.

66-ე საშ. სკოლაში ჩამოყალიბებულია ისტორიის შემსწავლელთა ერთი წოე, რომელშიც მხოლოდ IX—X კლასების 20 მოსწავლეა გაერთიანებული.

მე-17 საშუალო სკოლაში ისტორიის წრე, მართალია, დამაკმაყოფილებლად მუშაობს, მაგრამ მასში ძალზე ცოტა მოსწავლეა გაერთიანებული. უმცროსკლასებთან მუშაობას აქაც ნაკლები ყურადღება ექცევა.

75-ე საშ. სკოლაში, საერთოდ არ არსებობს ისტორიის წრე. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ისტორიის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები. თუმცა, უხდა აღინიშნოს, რომ მათს სამუშაო გეგმებში ვერ ვნახავთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებისა და მითითებების განხილვა, ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა (65-ე, 75-ე საშუალო სკოლები). 75-ე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას დაწყე-

ბითი კლასების მისწავლებელი რ. ძამუჯაშვილი ხელმძღვანელობდა რაც სწორი არ არის.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან გეოგრაფიას ი. ა. ჭანტურია (75-ე საშ. სკოლა), მ. დ. დაბრუნდაშვილი (29-ე საშ. სკოლა); თ. ვ. ნიკოლაიშვილი (28-ე საშ. სკოლა), ა. მკრტიჩიანი (74-ე საშ. სკოლა). ისინი დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, მისი სწავლებების ხერხებსა და მეთოდებს, რის შედეგადაც მათი მოსწავლეების უდიდესი ნაწილი ფლობს პროგრამულ მასალას, შეუძლია სხვა და სხვა სახის რუკებისა და თვალსაჩინოებათა გამოყენება. მაგრამ არის ნაკლოვანებანიც, რაც ხელს უშლის გეოგრაფიის წარმატებით სწავლებას. არცერთ შესწავლილ სკოლაში არ არის შექმნილი გეოგრაფიის სრულყოფილი კაბინეტი, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნიკურ საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენება. არ აქვთ ყველა საჭირო რუკა, ატლასები, სასარგებლო წიაღისეულთა კოლექციები, მოდელები და სხვა საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყო-იარაღები. ამის გამო, არც ცოდნის სტაბილურობაა მიღწეული ყველა კლასში.

აქტიურად მუშაობენ საგნობრივი წრეები, რომელთაც ხელმძღვანელობენ: ი. ა. ჭანტურია (75-ე სკოლა), მ. დ. დაბრუნდაშვილი (29-ე სკოლა), წრეები მუშაობენ გეგმებით, სადაც გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები, მოსწავლეები ადგენენ ალბომებს, პანტოგრაფით აღიღებენ საჭირო რუკებს და სხვ.

ე. ქურციკიძე (ხელმძღვანელი)

ნ. ღამბაშიძე

გრ. ერაძე

დ. გვალია

ს. შახსუვარიანი

ი. პეტრენკო

ა. შონია

შ. ბაკურაძე

ლ. ჯანუაშვილი

თ. ხურცილავა

ლ. მნათობიშვილი

ზ. ლომსიანიძე

რ. გურგენიძე

ა. აბაშიძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ.  
15 მაისის ბრძანება № 348

ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ

როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილება და სკოლები ერთგვარ დადებით მუშაობას ეწევიან მათი საქმიანობის შესახებ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესასრულებლად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ქალაქის განათლების განყოფილებისა და შესწავლილი სკოლების მუშაობაში კვლავ შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

მივაქციე რა ყურადღება ამ გარემოებაზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ გადაგზავნოს განათლების განყოფილებას სათანადო პრაქტიკულ დონისძიებათა გასატარებლად.

2. ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. გვენეტაძემ):

ა) გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელიობით მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებზე სალიკვიდაციოდ; ამ მიზნით, გააძლიეროს მათდამი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი; აღკვეთოს პედაგოგიური კოლექტივებისა და სკოლების ხელმძღვანელობის მხრივ სადირექტივო ორგანოების მიერ დაშვებული სახელმძღვანელო დოკუმენტებისადმი უბასუხისმგებლო დამოკიდებულება. პერიოდულად შეისწავლოს სკოლების მუშაობის უმნიშვნელოვანელოვანესი საკითხები და საჭიროების შემთხვევაში განადოს ისინი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მსჯელობის საგნად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის პრაქტიკაში დანერგილი სწავლების მეთოდების შესწავლა-განზოგადების საქმეს, ტექნიკური საშუალებების გამოყენებას და სკოლებში მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის დონის ამაღლებას; ამ მიზნით, მტკიცედ დანერგოს პრაქტიკაში პედაგოგიური კითხვები, თეორიული კონფერენციები და ღია, საჩვენებელი გაკვეთილები;

ბ) გულდასმით შეისწავლოს სკოლებში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების კაბინეტ-ლაბორატორიების, აგრეთვე სასწავლო-სახელოსნოების ხელსაწყო იარაღებით, თვალსაჩინო სასწავლო მასალებით აღჭურვის მდგომარეობა და მიაღწიოს სკოლებს შორის მათ რაციონალურ განაწილებას; ბოლო მოუღოს ამ საქმეში ისეთ მდგომარეობას, როცა ერთ სკოლაში უქმად, გამოუყენებლად ინახება რამდენიმე, ერთი და იგივე დანიშნულების ხელსაწყო-იარაღი მაშინ, როდესაც სხვა, მეზობელ სკოლას იგი საერთოდ არა აქვს;

დ) გააძლიეროს კონტროლი სკოლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი; ამასთან, ამ საქმეში სკოლების ხელმძღვანელთა მხრივ რაიმე დარღვევის შემთხვევაში დაუყონებლივ მიიღოს საჭირო ზომები;

ე) მიიღოს ზომები ქალაქის განათლების განყოფილების, მისი პედაგოგიური კაბინეტისა და სკოლების სათანადო ცენზის, მუშაობის გამოცდილებისა და სპეციალობის მქონე ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველსაყოფად; ამ მიზნით, იმგვარად გადააჯგუფოს კადრები, რომ განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, პედკაბინეტის მეთოდისტად და სკოლების ერთ-ერთ ხელმძღვანელად მაინც მუშაობდნენ საბუნებისმეტყველო ციკლის საგ-

ნების სპეციალისტები; ამასთან დაკავშირებით, აწლის 1-ლი სექტემბრიდან პედაგოგების ფრანგული ენის მეთოდისტი გადარჩენოს სხვა სამუშაოზე.

3. ქ. ტყეშელაშვილის სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა არსებითად გააუმჯობესონ პედაგოგიური კოლექტივებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი; გულდა მით შეისწავლონ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და გაატარონ ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებანი.

4. ქ. ტყეშელაშვილის სკოლების მასწავლებლებმა გულდასმით იმუშაონ სწავლების აქტიური მეთოდებისა და ხერხების დასაუფლებლად, შემოქმედებითად გამოიყენონ ისინი თავიანთ მუშაობაში და მიაღწიონ წარმატებებს მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში, სკანის სწავლების ძირეულად გაუმჯობესებით, აღმზრდელობითი სწავლების განხორციელებით უზრუნველყონ მოსწავლეთა თვალში მასწავლებლის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლება.

5. აღინიშნოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო მუშაობისადმი ქ. ტყეშელაშვილის განათლების განყოფილების (ამხ. მ. გვენეტაძე) არადაამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.

6. ქ. ტყეშელაშვილის მე-7 საშ. სკოლის დირექტორი ზ. გაბრიჭაძე სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

7. ქ. ტყეშელაშვილის მე-2 საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ელ. ნემსაძე სკოლისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, განათლების განყოფილებამ, სათანადო წესის დაცვით, განიხილოს საკითხი ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლად შემდგომში ელ. ნემსაძის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

8. ქ. ტყეშელაშვილის მე-2 და მე-4 საშუალო სკოლების დირექტორები ლ. უკლება და დ. მარტაშვილი, აგრეთვე მე-4 და მე-7 საშ. სკოლების დირექტორების მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში თ. აბესაძე და გ. კუბატაძე გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ მომავალში კიდევ უფრო მეტად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მათ მიმართ მიღებულ იქნება მკაცრი ორგანიზაციული ზომები.



9. ქ. ტყეშელის განათლების განყოფილებამ განიხილოს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნული არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლების საკითხი და სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს მათ.

10. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს \*

თ. ვ. ლაშქარაშვილს

**მ ო ს ს მ ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

ქ. ტყეშელის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ

თქვენი დავალებით, განათლების სამინისტროს ბრივადამ სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილის ს. დვალის (ხელმძღვანელი) სასკოლო ინსპექტორების ის. წოწონავას, გრ. შენგელიას, დ. მახარაძისა და ჯ. თოფურიას, მეოლიტების ა. აბაშიძის, თ. ხუცილავას და ა. თუთბერიძის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდკაბინეტის გამგის თ. კავკასიძის, ქ. თბილისის განათლების განყოფილების პედაგოგების მეთოდისტიკის ალ. ალანიას და ქ. თბილისის 129-ე საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორის რ. გურგენიძის შემადგენლობით ა/წლის 10-დან 18 მარტამდე შეისწავლა ქ. ტყეშელის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების მიმდინარეობა.

საკითხის შესწავლით გამოირკვა, რომ ქ. ტყეშელის განათლების განყოფილების აპარატი და სკოლები ძირითადად სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მუშაკებით არიან დაკომპლექტებულნი, მაგრამ შეინიშნება ერთგვარი, ზოგჯერ საქმისათვის აშკარად საზიანო ნაკლოვანებანი კადრების შერჩევაში.



საკმარისია ითქვას, რომ განათლების განყოფილებისა და მისი პედაგოგიური კაბინეტის 7 თანამშრომლიდან 5 ჰუმანიტარულ დარგში მომუშავე სპეციალისტია.

მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ე. ნემსაძე უკვე საკმაოდ ხანდაზმელი, 70 წელს მიღწეული მუშაკია, რომელიც, შესაძლოა ამის გამოც, თავს ვერ ართმევს მასზე დაცხრებული მოვალეობის შესრულებას. ის სუსტად მუშაობს, როგორც სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელა და როგორც საკანის მასწავლებელიც. ამასთან, სრულიად არ სურს შეივნოს ეს და თვითდაჯერებული, ჯიუტად, თანამდებობრივი მდგომარეობის მუშაკისათვის მიუტყვევებლად იცავს თავს, უარყოფს რაყოველთაა კრიტიკულ შენიშვნას მისი და საერთოდ სკოლის მუშაობის შესახებ.

მე-7 საშუალო სკოლის დირექტორმა ზ. გაბრიჭაძემ, როგორც მასწავლებელმა, ნამდვილად გააუმჯობესა მუშაობა. მან დამაკმაყოფილებლად ჩაატარა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილები. მაგრამ, როგორც სკოლის ხელმძღვანელი, იგი კვლავ ცუდად მუშაობს. სკოლის მუშაობის შესწავლის დღისათვის იყო ასეთი მოუთმენელი სურათი: სკოლის სახურავიდან ჩამონადენი წყალი აზიანებდა შენობას, სასკოლო შენობის ორივე სველ წერტილში აგრეთვე წყალი გამოდიოდა დაზიანებული მილებიდან, სკოლის მეორე შენობის I სართულის იატაკი წყალს დაესილა, ეზო მთიდან ჩამონარუნ წყალს აეტალახებინა, ეზოში გაკეთებული მხოლოდ ორი ხის ბოძი მოგვავიწყებდა აქ სპორტული მოედნის არსებობას... ასე გამოიყურებოდა გარეგნულად სკოლა მაგრამ, როცა სკოლის მუშაობის სხვა საკითხებიც შევსწავლეო, დ ვრწმუნდით, რომ მისი ხელმძღვანელი ზ. გაბრიჭაძე აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენს საკუთარი მოვალეობის შესრულებისადმი.

რაც შეეხება მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს დ. მარუაშვილს, ეტყობა, მას გარკვეულად გარდაუქმნია მუშაობა, სკოლა გარეგნულად კარგად გამოიყურება, თვით სკოლის დირექტორი, ჩანს, დაინტერესებულია საქმით, იგი ეცნობა, ეძებს სიახლეებს მოწინავე სკოლების მუშაობაში და შემოქმედებითაუ იყენებს მათ თავისი სკოლის პრაქტიკულ საქმიანობაში; მის მუშაობაშიც შეინიშნება რიგი ხარვეზები, მაგრამ საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების ვითარებაში, ისინი სრულიად მოსათმენად გვესახება



ქ. ტყეხულის სახალხო განათლების განყოფილებას და ზემოქმედებას ხსენებულ ბრძანებაში არაღამაკმაყოფილებლად მომუშავე პედაგოგიურ კოლექტივებს ერთგვარი დაუებითი მუშაობა აქვთ გაწეული განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესასრულებლად: განათლების განყოფილება (გამგე მ. გვენეტაძე) პერიოდულად სწავლობს სკოლების მუშაობას კომპლექსურად და თემატიკურად. მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილია 10 საშუალო, 3 რვაწლიანი, 3 დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა, 4 საღამოს (ცვლის) სკოლა. გარდა ამისა, ცალკეულ სკოლებში შესწავლილია რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ქიმი-ბიოლოგიისა და სხვ. საგნების სწავლება. საჭირო ღონისძიებანი ტარდება სკოლების სასწავლო-მეტერიალური ბაზის განსამტკიცებლად. ზემოხსენებული ბრძანების შესასრულებლად საკითხები განხილულია სახალხო განათლების განყოფილების საბჭოსა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონდომებით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასაძაღვლებლად, შემოქმედებითად წყვეტს ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის, მის წინაშე წამოჭრილ ცხოვრებისეულ ამოცანებს და გარკვეულ დადებით შედეგებსაც აღწევს. ასეთი მასწავლებლებია: დაწყებით კლასებში—ც. ჭელიძე, ე. ვეფხვაძე და ც. ლეშკაშელი (მე-2 საშ. სკოლა), ნ. ბლუაშვილი და მ. კუპრაშვილი (მე-4 საშ. სკოლა), ქართულ ენასა და ლიტერატურაში—გ. ტურძელაძე (მე-2 საშ. სკოლა); რუსულ ენასა და ლიტერატურაში—ლ. ივანტენკო, ნ. კუპრაშვილი, ე. მერკვილაძე (მე-4 საშ. სკოლა), ი. გაბრიჭიძე (მე-2 საშ. სკოლა), თ. გვენეტაძე (მე-7 საშ. სკოლა), გ. გიორგაძე (კურსების საშ. სკოლა); გერმანულ ენაში—ლ. ჯიშიაშვილი (მე-7 საშ. სკოლა); ნ. ჭანტურიძე, მ. ქასრაშვილი (მე-2 საშ. სკოლა); ნ. ჩხბრაძე (მე-6 საშ. სკოლა), ა. ცირეკიძე (ორპირის საშ. სკოლა); მათემატიკაში—ლ. უკლება, ფიზიკაში—ი. ავაქოვა, გ. ბერძელი (მე 2 საშ. სკოლა), გ. ბრეგაძე, ვ. პატარიძე, ლ. ლოსაბერიძე (მე-4 საშ. სკოლა), გ. ბუხაიძე (მე-7 საშ. სკოლა); ქიმიაში—ა. სირბილაძე (კურსების საშ. სკოლა), ბ. ბუაძე, ც. ლანჩავა (მე-2 საშ. სკოლა), ნ. ფორჩხიძე (მე-7 საშ. სკოლა); ბიოლოგიაში—პ. სვანიძე (კურსების საშ. სკოლა); ნ. ქათამაძე (მე-4 საშ. სკოლა), შ. როინიშვილი (მე-2 საშ. სკოლა), ნ. ფორჩხიძე (მე-7 საშ.



სკოლა); ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში—ი. ბარბაქაძე (მე-2 საშ. სკოლა), ლ. მღვიანი (მე-4 საშ. სკოლა), თ. ნოვიკოვა (მე-7 საშ. სკოლა),

მაგრამ, მიუხედავად ზემოხსენებულისა, ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებასა და შესწავლილ სკოლებს აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების საქმეში.

სამინისტროს ბრძანებისა და ბრიგადის მოხსენებითი ბარათის განხილვა რაიონის განათლების განყოფილების სახალხო განათლებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე არასწორი მიმართულებით არის მოწყობილი: განყოფილების გამგის მიერ ამ საკითხზე დაშვებული ბრძანება არ დაიწუნება, ის საკმაო ცოდნით არის დაწერილი, მაგრამ განყოფილებაში საკითხის განხილვისას ვხვდებით საქმისადმი უცნაურ დამოკიდებულებას. სხდომებზე დამსწრე ზოგიერთი ორატორი, ნაცვლად იმისა, რომ საჭარო დასკვნები გააკეთოს, აუგად მოიხსენიებს თვით სასკოლო ინსპექტორების სტილს; ასე მაგალითად, მე-7 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. კვახაძე აცხადებს: „შემომოწმებლები მოდიან და მკაცრად მიუთითებენ ნაკლზე, მათ მიუთითებებში არ ჩანს პუნიანურობა, დარიგება, სწავლება. მოდიან მხოლოდ დაასჯელად ამიტომ შემოწმებისას დაბნეულია მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც“.

კიდევ მეტა, მე-4 საშუალო სკოლაში აღნიშნული ბრძანების მთელი განხილვა ისე წარიმართა, რომ მასში თითქოს მხოლოდ განათლების სამინისტროს ბრიგადის არაობიექტურობაზე, საქმისადმი მის ტრენდერულ დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი; მათემატიკის მასწავლებელი ე. გვერტაძე ამბობს: „საპროგრამო მასალის გავლაში არ მაქვს ჩამორჩენა, მოხსენებით ბარათში კი წერა 10—12 საათით ჩამორჩებაო. ეს ტყუილია. ვაკვეთილზე მეტნიერთული შეცდომა არ დამიშვია. ბარათში ზოგიერთი ნაკლოვანება უსამართლოდაა ჩემზე აღნიშნული. სამართლიანია ის, რომ ამოცანა არ ამომიხსნია. ვაცხადებ, რომ ჩემი მუშაობის ყოველ ხარვეზს გამოვასწორებ“ (?).

ბ. კბილაძემ აღნიშნა, რომ სექტემბრიდან დღემდე დაძაბულ პირობებში მიხდება მუშაობა მაიძულებენ, რომ დავტოვო სამუშაო. როცა ვაკვეთილზე დამესწრო ბრიგადის წევრი შ. მ. მალაძე,



ავად ვიყავი. მამალაძეს სპეციალურად ჰქონდა დავალებული ჩემი გაკვეთილი მოესმინა, რათა გავენადგურებინე უსაფუძვლო ბრალდებებით. ჩემზე ეს საყვედური არასამართლიანია.

გ. კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ გაკვეთილის ჩატარებაში არ მქონია ის ხარვეზები, რაც მოხსენებით ბარათშია. ბევრი რამ არასწორადაა ჩაწერილილი ბარათში. ცილისწამებაა, როცა წერენ ჩამორჩენა არის საპროგრამო მასალის გავლაშიო. შემოწმება არ იყო ობიექტური.

ქ. ბუბაშვილმა აღნიშნა, რომ მის მიმართ ბარათში აღნიშნული ნაკლოვანებების დიდი ნაწილი არ შეეუფრება სწამდვილეს. უნაკლო ვინ არის, მაგრამ ნაკლოვანებების ასე გაზვიადება, მასწავლებელზე ამ ტონით მსჯელობა, არაა სწორი...

საკითხის განხილვისადმი მასწავლებელთა ასეთ დამოკიდებულებას მხარი დაუჭირა განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა მომხსენებელმა ბ. ახვლედიანმაც, რომელმაც აღნიშნა: „ზოგიერთი მასწავლებელი საშარტლიანად გამოთქვამს გულისტკივილს, მაგალითად, ქ. ბუბაშვილი კარგი მასწავლებელია, მაგრამ იმ დღეს მოხდა, რომ მოსწავლეებმა ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს. დასკვნა ამ ერთი გაკვეთილის მიხედვით გაკეთდა...“

ასეთივე აზრი განავითარა სკოლის დირექტორმა დ. მარუაშვილმაც: „...განათლების სამინისტროს ბრგადის მოხსენებით ბარათი მე-4 საშ. სკოლის მიმართ ტენდენციურ ხასიათს ატარებს. ბარათში ზოგი ფაქტი დამახინჯებულია, დასკვნები არაა გაკეთებული ობიექტურად... ჩვენ ღრმად გვწამს ჩვენი იდეები და ამოცანები; ვერავითარი შური, კბენა, პირადი ინტერესი ვერ გადაახრევიანებს სკოლის პედაგოგიკურ დასახული მიზნებიდან“.

სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგებზე ასეთი ნეგატიური აზრის წინააღმდეგ, პედსაბჭოს ოქმში მაინც დასახულია ღონისძიებანი „არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლების“ (1) მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ასევე ცუდად არის განხილული განათლების სამინისტროს აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტი ტყიბულის მე-2 საშ. სკოლაში (დირექტორი ლ. უკლება). ამ საკითხს სულ 7—8 სტრიქონით ეთმობა და დადგენილებაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვით არის დაწერილი: „მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ“.



ქ. ტყეშელის სკოლებში გარკვეულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი და საყოველთაო საშუალო სწავლების განხორციელების საქმეში. კონტინგენტის სასახლო მეურნეობის გეგმის შესრულებას 0—VIII კლასებში აქვია 103 ბავშვი.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობის გამოკვლევისას აღმოჩნდნენ სკოლებიდან გასული მოსწავლეები, რომელთა შესახებ ადგილზე საჭირო ცნობები არ იყო, ისინი მხოლოდ შემდეგ წარმოუდგინეს ბრიგადას სკოლების ხელმძღვანელებმა. ასეთები აღმოჩნდა, მაგალითად, მე-4 საშ. სკოლაში — 8, მე-7-ში — 7 და კურსებშიც — 7.

ქ. ტყეშელის მე-2 საშ. სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა დიდ მოძრაობას: სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე სხვა სკოლიდან გადმოვიდა 12 მოსწავლე, წავიდა — 50. ამასთან, შეინიშნება რომ სხვა სკოლების „სამოსნებს“ აქ უფრო მაღალი ნიშნები აქვთ მიღებული; მაგალითად, მასწავლებელ ნ. პატარიძის შვილი ცხრა წელი მე-6 სკოლაში „სამოსნად“ ითვლებოდა, აქ კი, გარდა ქიმიის, ალგებრისა და გეომეტრიისა, „ოთხებზეა“ შეფასებული. დაახლოებით ასეთივე შედეგები აქვს მეორე მოსწავლე გ. ქ.-საც.

შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში ძირითადად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში: სკოლის წლიური, პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური, კლასის ხელმძღვანელთა, პიონერხელმძღვანელთა და სხვ. გეგმები სათანადო მოთხოვნათა მიხედვით არის შედგენილი. ამ მხრივ გამოირჩევა მე-4 საშუალო სკოლა, სადაც, გარდა აღნიშნული სახის გეგმებისა, ადგენენ სკოლის ნახევარწლიურ გეგმებს, ლაბორატორიების სამუშაო გეგმებს; აქვია ცალკე ჟურნალები: „მშობლის სამახსოვრო“, „მასწავლებლის სამახსოვრო“ და სპეციალური ჟურნალი სასკოლო ინსპექტორებისა და განათლების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ სკოლის მუშაობის შედეგად მიღებული წინადადებებისა და დასკვნების ჩასაწერად.

შეიძლება არ დავეთანხმოთ სკოლის ხელმძღვანელობას ყველა ამ დოკუმენტის საჭიროებაში ან მათ წარმოებაში, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, როგორც დადებითი ფაქტი — ძიება, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

მიუხედავად ამისა, სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.



ქ. ტყიბულის მე-7 საშ. სკოლის წლიური სამუშაო შედეგად არის შედგენილი: გეგმის „მესავალში“ კვეთლად არ ჩანს გასული სასწავლო წლის სკოლის მუშაობის წარმატებანი, რომლებიც უნდა გამტკიცდეს მიმდინარე წელს და ნაკლოვანებანი, რომელთა ლიკვიდაცია უნდა დაესაზოს ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად პედაგოგიურ კოლექტივის.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახულ ღონისძიებაში ლაპარაკია მოსწავლეთა ქცევის წესებზე; ათეისტურ აღზრდაზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაზე, სპორტულ მუშაობაზე, ალკა და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მშობლებთან მუშაობაზე.. მაგრამ დაეწყებულია მთავარი—ზრუნვა ც ლკეული სასწავლო დისციპლინის სწავლების გასაუმჯობესებლად.

საერთოდ, გეგმაში გათვალისწინებული საკითხები ისე ბუნდოვნად არის წარმოდგენილი, რომ კითხვა იბადება—ნუთუ ეს დოკუმენტი პედაგოგიური საბჭოს სხდომაზეა განხილული და ნუთუ იგი მართლაც კოლექტივის განსჯის, მისი სერიოზული ჩანაფიქრის გამომხატველია(!) გეგმაში ვკითხულობთ: „გასულ სასწავლო წელს, სკოლის დირექციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დაძაბეს პედაგოგიური დახელოვნების, სწავლა-აღზრდის, უკეთ დაყენებისა და საყოველთაოსავალდებულო სწავლების კანონის ცხოვრებაში, უკეთ გატარებისათვის. ამ საქმის უკეთ დონეზე დაყენების საქმეში, სხვა საკითხებთან ერთად, დიდი დახმარება გაკვიწია განათლების სამინისტროს ბრიგადამ, ქუთაისის დახელოვნების ინსტიტუტმა(!) და სისტემურ დახმარებას და კონტროლს ანხორციელებდა განათლების განყოფილება“ (მარალწერა დაცულია).

სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში(!) დასახელებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხები და განხილვის ვადები, მაგრამ იგი აბსოლუტურად სულ სხვაა, ვიდრე თვით პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმაშია აღნიშნული. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ღონისძიებათა ერთი ნაწილი პარტიულ და პროფკავშირულ კრებებზე განსახილველად არის გათვალისწინებული მაშინ, როდესაც მათი მუშაობის დაგეგმვა სკოლის დირექციის კომპეტენციაში არ შედის.

სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში პედსაბჭოს სხდომის განსახილველად დაგეგმილი საკითხები(!) თითქმის არც ერთი არ



არის განხილული, რადგან, როგორც წესი, იგი სხვა, მისთვის შეგნობის გენილი გეგმით მუშაობს.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე საკითხები ზერელედ, საქმის არსებითი მხარის შესწავლის გარეშე განხილული.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აკრეფე ქ. ტყიბული, მე 2 საშ. სკოლის პედსაბჭოს მუშაობაც. მასში ვხვდებით საკითხების ზოგადი სახით დასმისა და ზერელედ განხილვის შემთხვევებს. ასე მაგალითად, „სადირექტივო ორგანოების მომართვების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების განხილვა“ (არ ჩანს კონკრეტულად, სახელდობრ რა დოკუმენტებზეა ლაპარაკი); პედსაბჭოს გეგმაში არის გათვალისწინებული ფიზიკური კულტურის სწავლების, სამხედრო მომზადების, სახანძრო ღონისძიებათა გატარებისა და სხვ. საკითხების შესწავლა. მაგრამ, სამაგიეროდ, დაეწეებულია მშობლიური და რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლება.

პედსაბჭოს სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ამ სკოლაში ზერელედ იხილება მეოთხედში ჩატარებული მუშაობა. I და II მეოთხედის შედეგებზე მოხსენებით გამოსულა სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ელ. ნემსაძე. მას არ გაუკეთებია სკოლის ამ საქმიანობის ანალიზი: აქ თითქმის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებია იმის შესახებ, თუ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა, რამდენი ვერ ასწრებდა და ა. შ. გარდა ამისა, მასწავლებელთა მუშაობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად, იგი ხელალებით აქებს მათ და საკუთარ თავსაც კი(!) ასე მაგალითად, მასწავლებელი ც. კვირიკიშვილი განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში მოხსენებულია, როგორც არადაამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებელი, ე. ნემსაძე კი აქებს(!) ქართულ ენისა და ლიტერატურაში II მეოთხედში მოწინავე მასწავლებლებად არიან დასახელებულნი ვ. ბოჭორიშვილი, ვ. ტურძელაძე, ო. წაქაძე და ბ. წერეთელი; განათლების სამინისტროს ბრიგადამ კი ამათგან მოწინავედ მხოლოდ მეორე მიიჩნია.

შესწავლილ სკოლებში გარკვეული ნაკლოვანებანი შეინიშნება V კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაში.

მე-7 საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელების ღონისძიებათგან სააღმზრდელო გეგმები ტრაფარეტულია. მათში მხოლოდ საუბრებია გათვალისწინებული. ისინი არ იცნობენ პროგრამა

„ორიენტირის“, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან მუშაობის სპეციფიკურ საკითხებს.



პიონერული კლასების ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ პიონერული მარშის „მზად ვარ!“ მიმდინარეობას და თვითონვე ვერ ერკვევიან მასში. ოქტომბრელთა კლასების ხელმძღვანელებს არც ერთი საკითხი არა აქვთ გათვალისწინებული ოქტომბრელთა ჯგუფების მუშაობასთან დაკავშირებით.

კლასის ხელმძღვანელთა სადამზრდელო გეგმებში არაფერია ნათქვამი მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდისა და სკკპ XXIV ყრილობის მიერ სახალხო განათლების დარგში დასახული ამოცანების შესაბამისად.

კლასების ხელმძღვანელები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ მოსწავლეთა ოჯახური პირობების შესწავლით; ასე მაგალითად, IX<sup>1</sup> კლასის ხელმძღვანელს ა. კუბლაშვილს 12 მარტისათვის შესწავლილი ჰქონდა მხოლოდ 6 მოსწავლის (კლასში 21 მოსწავლეა) ოჯახური პირობები. VIII<sup>2</sup> კლასის (ხელმძღვანელი ე. ფორჩხიძე) მოსწავლეები ხშირად აცდენენ გაკვეთილებს, მაგრამ სკოლაში საჭირო ცნობები არ არის, თუმცა სასწავლო მეცადინეობის გაცდენა საპატიოდ არის ჩათვლილი.

ოქტომბრელებთან მუშაობას საკმაო ყურადღებას არც ტყიბულის მე-2 საშ. სკოლის დაწყებითი კლასების ხელმძღვანელები აქცევენ. პიონერთა შორის არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ VI<sup>1</sup> კლასის ხელმძღვანელი ლ. ვარდოსანიძე, VI<sup>3</sup> კლ. ხელმძღვანელი ნ. პატარიძე და VII<sup>3</sup> კლასის ხელმძღვანელი მესხორაძე, X<sup>1</sup> და X<sup>2</sup> კლასის ხელმძღვანელები ვ. ბოჭორიშვილი და ც. კვირიკიშვილი არასაკმოდ მუშაობენ მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება ქ. ტყიბულის მე-4 საშ. სკოლის კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაც.

\*  
\*  
\*

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები და მათი ხელმძღვანელებიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობით. სრულიად მოუწესრიგებელია ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი ე. ციციკიძე) მე-7 საშ. სკოლაში. მართალია, სკოლა ცუდ შენობაში მუშაობს, რის გამოც ბიბლიოთეკასაც შესაფერისი



ოთახი არა აქვს, მაგრამ, რაც არის, ისიც მოუწერივებელია: წიგნები დაუხარისხებელია: ცალკე არ არის გამოყოფილი პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური და პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური ლიტერატურა. ამასთან, აშკარად იკრძობა ბიბლიოთეკის აუტანელი სიღარიბე: აქ ქართველი კლასიკოსი მწერლების თხზულებათა სრული კრებულებიც კი არა აქვთ. საკმარისია ითქვას, რომ თვით შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ერთადერთი ცალი აქვთ... არა აქვთ სხვადასხვა სახის ლექსიკონები. თვით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8 ტომიდან აქ მხოლოდ 3 ტომი აღმოჩნდა. თაროებზე უწესრიგოდ განლაგებული ლიტერატურა დამტვერილია, ყველა მკითხველზე არ არის შედგენილი ფორმულიარი; მკითხველები სისტემატურად არ კითხულობენ წიგნებს, არ ეწყობა მათი კონფერენციები და სხვ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მე-2 და მე-4 სკოლების ბიბლიოთეკები, მაგრამ მე-4 სკოლის ბიბლიოთეკ-ს მუშაობას ხელი ეშლება იმით, რომ მის ოთახში დღის პირველ ნახევარში იმყოფება გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.



სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობაშიც შეინიშნება გარკვეული ხარვეზები. ეს ჯგუფები მოთავსებულია თითო ოთახში, რომელშიც ბავშვები კიდევ თ.მ.შობენ და კიდევ მეცადინეობენ.

მე-2 სკოლაში არ არის მშობელთა განცხადებები გახანგრძლივებული დღის ჯგუფში მათი შვილის ჩარიცხვის შესახებ. 1-ელ ჯგუფში (მასწავლებელი ე. ბუცხრიკიძე) მოსწავლეთა რაოდენობა არის 25. მეორე ჯგუფში (მასწავლებელი თ. ხარჯამაძე) სიით ირიცხება 25 მოსწავლე, მაგრამ ესწრებოდა მხოლოდ 11.

მე-4 სკოლის სამ გახანგრძლივებულ ჯგუფში მუშაობს 4 მასწავლებელი (ერთი განაკვეთი გაყოფილია). თითოეულ ჯგუფში 30 ბავშვი ირიცხება, მაგრამ შემოწმების დროს იყო: I ჯგუფში 14 ბავშვი, II-ში—20 და III-ში—14 (მასწავლებლები: ქ. ჯმუხაძე, ალ. კაკუშაძე, ქ. ვარდოსანიძე და ლ. ფაილოძე). რადგანაც სკოლას ამ ჯგუფებისათვის ცალკე ოთახის გამოყოფის საშუალება არა აქვს, ამ მიზნით გამოყენებულია პიონერთა ოთახი და ბიბლიოთეკა.

ანალოგიური მდგომარეობაა მე-7 სკოლაშიც, სადაც განხორციელებული დღის ჯგუფია და არც ერთ მათგანში არ ესწრება ყველა მოსწავლე.

\*  
\*   \*  
\*

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს და დამახინჯებებს აქვს ადგილი მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისა და სკოლებში სამეცრნეო-საფინანსო მუშაობის დარგში.

მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზე დგას ქ. ტყიბულის მე-7 საშ. სკოლაში (დირექტორი ზ. გაბრიჭიძე).

აქ ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევებს: მათა. ერთი ნაწილი იგვიანებს გაკვეთილებზე, აცდენს მეცადინეობას ან იპარება გაკვეთილიდან; V კლასის მოსწავლე ი. მ. ეწეოდა წვრილმან ქურდობას, უხეშობდა და ეტანებოდა მაგარ სასმელებს; კიდევ მეტიც: VIII კლ. მოსწავლე ა. გ. უპატიოსნოდ მოექცა თავის თანაკლასელ მოსწავლე გოგონას.

სკოლის ხელმძღვანელობამ ეს უკანასკნელი ფაქტი რეაგირების გარეშე დასტოვა იმ მოტივით, რომ მოსწავლე გოგონა ბ-მე დებილია და მისი ნათქვამი არ დაიჯერებო, მაგრამ იგი სრულიად ნორმალური ბავშვი აღმოჩნდა. მოსწავლე ვაჟმა ა. გ-მ აღიარა თავისი დანაშაული.

გასული წლის 9 ივნისს, 22 საათზე, VIII კლასის მოსწავლეები ი. ტ., ბ. ჭ. და თ. გ. მიუცვივდნენ ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მ. კვახაძეს და ქვებით ჩაუმჯვრიეს ბინის ფანჯრები. 12 ივნისს კი ამავე სკოლის მოსწავლეებმა ს. ა.-მ, ბ. ჭ.-მ, თ. გ.-მ, ტ. კ.-მ და თ. ც.-მ გაცილება მოუწყეს თბილისში საცხოვრებლად გადასულ თანაკლასელ ტ. ს.-ს, სასადილოში დალიეს სამი ბოთლი ღვინო, გაისეირნეს პარკში და შემდეგ, 23 საათზე, კვლავ მიუცვივდნენ იმავე მასწავლებელს და ქვები დაუშინეს მის ბანას. სკოლის დირექტორმა ეს ამბავი გაიგო 13 ივნისს, მაგრამ მხოლოდ ახსნა-განმარტებით დაამთავრა საქმე.

ქ. ტყიბულის განათლების განყოფილების სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, სადაც ეს საკითხი იხილებოდა, სკოლის დირექტორ ზ. გაბრიჭიძეს განუცხადებია, რომ მასწავლებელი მ. კვახაძე ცუდი მუშაობისათვის თავიდან მოიცი-



ლეს მე-4 საშ. სკოლიდან, ამიტომ მის მოქმედებაზე პასუხს ვაგებთ. საკითხი აღნიშნულ მოსწავლეთა მოქმედებაზე პედაგოგიურმა საბჭომ, მოსწავლეთა და მშობელთა თანდასწრებით განიხილა 23 ივნისს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ინციდენტის შესახებ განცხადება შევიდა პარტიის საქალაქო კომიტეტში. აღნიშნულის გამო დაშვებულ სკოლის დირექტორის ბრძანებაში არა ჩანს კონკრეტულად, თუ რაში გამოიხატა ამ მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევა.

მე-7 სკოლაში მოსწავლეთათვის ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გვერდის ავლით და ეს ცვლილება არ შეაქვთ სათანადო სასკოლო დოკუმენტებში: 1972 წლის 3 მაისს № 129 ბრძანებით, მოსწავლეთათვის შეუფერებელი ქცევის გამო, რაც თურმე საპირველმისოდ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიუღებლობაში გამოიხატა, რვა მოსწავლეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და დაეწერა არაღამაკმაყოფილებელი შეფასება ყოფაქცევაში. მოსწავლეების—ი. დ.-ის, ტ. მ.-ისა და გ. ბ. ის ყოფაქცევის ნიშნებში არ იყო შეტანილი ეს ცვლილება, რაც კლასის ხელმძღვანელების მუშაობისადმი სკოლის დირექციის უკონტროლობის მიზეზიც არის.

სკოლაში საჭირო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა მორიგეობას. გასული წლის 13 ნოემბერს VII კლასის მოსწავლე თ. ც.-იმ მოსწავლე მ. გ.-ეს კალმისტრის უადვილო გადაკლებით დაუზიანა თვალი, მკურნალობის შემდეგ მოსწავლე დაუბრუნდა სკოლას, მაგრამ მარცხენა თვალში მხედველობა საგრძნობლად აქვს დაზიანებული

გამოირკვა, რომ მე-7 სკოლის ხელმძღვანელობა არასერიოზულად ეკიდება კურსდამთავრებულთა ატესტატებში ნიშნების გადატანას; ასე მაგალითად, მოსწავლე ჯ. ლ.-ს, რომელმაც 1969 წელს დაამთავრა ამ სკოლის კურსი, მსოფლიო ისტორიაში „ხუთის“ ნაცვლად ატესტატში უწერია „ოთხი“, საზოგადოებათმცოდნეობაში „ოთხის“ ნაცვლად „სამი“. ასეთივე მდგომარეობაა გეოგრაფიასა და ხაზვაშიც. ფიზკულტურაში შეფასება „ხუთი“ შეცვლილია „სამით“ და შემდეგ დამატებით აქვს მიწერილი „ხუთი“. მოსწავლე მ. გ.-ს ერთ-ერთ საგანში შეტანილი ჰქონია „სამი“, ნაცვლად „ოთხისა“, მაგრამ, როგორც სკოლის დირექტორი თვითონ აცხადებს, მას „ეს შეცდომა“ გამოუწერებია სხვისი მითითების გარეშე.

სამწუხაროდ, ქ. ტყიბულის მე-7 საშ. სკოლაში სხვა სახის შეცდომებსა და დარღვევებსაც აქვს ადგილი.

გამოირკვა, რომ აქ შეთავსებით მუშაობს დურგლად სახანძრო რაზმის თანამშრომელი რ. გაბრიჭიძე, რომლის თვითური ხელფასი 65--65 მანეთია ძირითად სამუშაო ადგილზეც და სკოლაშიც.

იქვე, ზეინკალ-ელმონტიორად მუშაობს ტყიბულის კომკავშირული შახტის ამფეთქებელი ვაჟა გაბრიჭიძე, რომლის ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე 158 მანეთია, სკოლიდან კი იღებს 66 მან. და 25 კაპიკს.

ამრიგად, სკოლაში დარღვეულია შეთავსებით მუშაობის წესი, რადგანაც სკოლაში არ აღმოჩნდა ზემოხსენებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა წერილობითი თანამობა მათი თანამშრომლებისათვის შეთავსების მიცემის შესახებ. ამასთან, არავითარი დოკუმენტი არ არის იმის დამადასტურებელი, თუ რომელ საათებში უნდა მუშაობდეს სკოლაში ელმონტიორი ვ. გაბრიჭიძე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იგი ყოველდღე მუშაობს სხვადასხვა ცვლაში, მისი ხელფასი აღემატება 100 მანეთს და შეთავსება არ უნდა მისცემოდა.

როგორც ჩანს, სკოლის დირექტორი ზ. გაბრიჭიძე ყურად არ იღებს ზემდგომი ორგანოებს დირექტივებს, თორემ ქალაქის განათლების განყოფილების 1973 წლის 8 იანვრის № 7 ბრძანებით სკოლების დირექტორები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ არ დაეშვათ რაიმე დარღვევა შეთავსებით მუშაკთა დანიშვნისას.

მე-7 სკოლაში გამოვლინდა აგრეთვე საშტატო დისციპლინის დარღვევის სხვა შემთხვევაც: 1968 წლის აპრილიდან სკოლის მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა ჯ. ჩახუნაშვილი, იგი კვირაში აჯარებდა ორ მეცადინეობას, რისთვისაც ეძლეოდა 60 მან. რადგანც სკოლაში შტატით გუნდის ხელმძღვანელი არ იყო გათვალისწინებული, იგი არ უნდა დაენიშნა. ჩახუნაშვილს ხელფასი ეძლეოდა თითქოს ხან ზეინკლის, ხან კი დამლაგებლის მოვალეობის შესრულებისათვის, ე. ი. იგი არაკანონიერად იღებდა ხელფასს 1968 წლის აპრილიდან 1972 წლის 30 ნოემბრამდე (სამუშაოდან განთავისუფლებამდე).

ამავე სკოლაში არის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაც: 467 მან. დაიხარჯა მომღერალთა გუნდის წევრებისათვის ფორმების შესაძენად.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სკოლაში საერთო  
თოდ მოუკვარებელია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების  
ფონდის გამოყენების საკითხი. არ არის შექმნილი კომისია, რომელიც, სათანადო დებულების მიხედვით, ხელმძღვანელობას გაუწევდა ამ საქმეს. სკოლის დირექტორის განმარტებით, თითქოს იგი მინდობილი აქვს მშობელთა კომიტეტს, სინამდვილეში კი სამნეო ნაწილის გამგის ხელშია, თუმცა მას საჭირო დოკუმენტები არ აღმოაჩნდა. არ ჩანს კლასის ხელმძღვანელთა მონაწილეობაც ხელმოკლე ოჯახების ბავშვების დახმარების საქმეში.

\*

\*

\*

ქ. ტყიბულის შემოხსენებულ სკოლებში კვლავ გვხვდება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ფ. გოცაძეს, პ. გორგიძეს (მე-2 საშ. სკოლა) და მ. კუბრაშვილს (მე-4 საშ. სკოლა) დღემდე არ გაუვლიათ დახელოვნების კურსები ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით. დაწყებითი კლასები ღარიბია დიდაქტიური და თვალსაჩინო მასალებით; სწავლებაში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ტექნიკური საშუალებები.

არადაამაკმაყოფილებლად ასწავლიან მშობლიურ ენას მასწავლებლები ე. ბარბაქაძე (მე-7 საშ. სკოლა) და ნ. გვენეტაძე (მე-2 საშ. სკოლა). ისინი არ არიან დაუფლებული დაწყებით კლასებში სწავლების მეთოდებსა და ხერხებს; არ იყენებენ თვალსაჩინოებას, გაკვეთილებს ერთფეროვნად, მოსაწყენად ატარებენ. ტექსტზე მუშაობისას მხოლოდ მისი კითხვით კმაყოფილდებიან და ყურადღებას არ აქცევენ მხატვრული ნაწარმოების თავისებურებას, გამოსახვის ფორმებს, სალექსიკონო მუშაობას. მასწავლებელი ე. ბარბაქაძე მოსწავლეთა წინაშე სვამს ბუნდოვან კითხვებს, რომელთაც ბავშვები ვერ გებულობენ.

მე-2 სკოლის მასწავლებელს ნ. გვენეტაძეს თვითონვე უჭირს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგი საკითხის აძლევა, იგი არასწორ შენიშვნებს და განმარტებებს აძლევს მოსწავლეებს: შენიშვნა— „არაა მოსაწონი შენი წაკითხული, რადგან გაბმულად კითხულობ“, ეწინააღმდეგება პროგრამის მოთხოვნებს, რადგან მათ სწორედ გაბმულად კითხვა მოეთხოვებათ; წინადადე-

ბაში—„ცხვარ-ბატკნის ბლავილმა ხომ მთლიანად გააღვიძა მარე“—მასწავლებელი ქვემდებარედ მიიჩნევს მთელ შესიტყვებას „ცხვარ-ბატკნის ბლავილს“.

კურსების საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მათემატიკის მასწავლებელი დ. ბრევაძე არაღამაკმაყოფილებლად იცნობს სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, ვერ ითვალისწინებს მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს; იგი მხოლოდ დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეებთან მუშაობს და კლასის სხვა მოსწავლეები უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული, მთელ გაკვეთილს ისე ატარებს, რომ მოსწავლეებს არავითარ ჩანაწერს არ აკეთებინებს საკლასო სამუშაოთა რვეულებში.

ასევე არაღამაკმაყოფილებლად მუშაობს 1-ლი კლასის მასწავლებელი ფ. გოცაძე.

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე გამოვლინდა განსაკუთრებით განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული წერითი მუშაობისას მათემატიკაში: მე-7 საშ. სკოლის III<sup>2</sup> კლასის (მასწავლებელი ლ. ფრუიძე) 20 მოსწავლიდან „ორი“ დაიმსახურა 15-მა, „სამი“—სამმა, „ოთხი“ კი ორმა (საწერი ამოცანა და მკვალითი შერჩეულ იქნა საგნის მასწავლებლებთან ერთად, მათივე თანხმობით). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ II მეოთხედის ბოლოსათვის ამ კლასის არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონია მათემატიკაში შეფასების ნიშნად „ორი“.

ანალოგიური მდგომარეობაა კურსების საშუალო სკოლაშიც (მასწავლებელი. ე. ჯინჯიბაძე).

\*  
\* \*

სერიოზული ხარვეზები შეინიშნება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.

არაღამაკმაყოფილებელია კურსების საშუალო სკოლის VI და IX კლასების (მასწავლებელი კ. გოგისვანიძე), ტყიბულის მე-2 სკოლის VII (მასწავლებელი ვ. ბოჭორიშვილი), მე-4 სკოლის IV (მასწავლებელი დ. მარუაშვილი) და მე-7 სკოლის IV—IX (მასწავლებელი მ. კვახაძე) კლასების მოსწავლეთა მომზადება.

აღნიშნულ სკოლებში ქართული ენის გრამატიკის შესწავლისას არასაკმაო ყურადღება ექცევა ცოცხალ მეტყველებას და



მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, სწავლებაში თვალსაჩინოების, აქტიური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას.

კურსების საშუალო სკოლის VI კლასში მოსწავლეებმა ვერ გაარკვიეს „დაწერა“ ზმნის ძირი და ფუძე, მწკრივი და უღლება. აღმოჩნდა, რომ თვით მასწავლებელიც არადაამაკმაყოფილებლად ეუკვევა ამ მასალაში.

მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელიც დ. მარტუაშვილი IV კლასში ასწავლის ისეთ მასალას, რომელიც პროგრამაში არ არის. გ. ტაბიძის ლექსი „ჰე, მამულო“, რომელსაც დათმობილი აქვს ერთი საათი, მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, შეესწავლათ იგი წაკითხვით მაშინ, როდესაც საზეპიროდ უნდა მიეცა.

დაბალია მოსწავლეთა წერითი შეტყვევების კულტურის დონე; ასე მაგალითად, მე-4 საშ. სკოლის მეათე კლასის (მასწავლებელი ე. მორჩაძე) 19 მოსწავლიდან მასწავლებელმა შეფასება „2“ დაუწერა 9 მოსწავლეს. ასეთივე სურათია იმავე სკოლის IV კლასშიც. კურსების საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი გ. გაბოიაძე) 20 მოსწავლიდან შეფასება „2“ დაიმსახურა 7-მა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწერი თემები თვით მასწავლებლების მიერ იყო შერჩეული.

ლიბერალიზმია გამეფებული მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრების შეფასებაში.

მე-7 სკოლის X კლასის (მასწავლებელი მ. კვახაძე) მოსწავლის გ. ბ-ს ერთ-ერთ საკონტროლო ნამუშევარში დაშვებულია პუანქტუაციური, ორთოგრაფიული, სტილისტიკური და სხვ. ხასიათის 20—25 შეცდომა, რომელთაგან არცერთი არ არის შენიშნული და შეფასებულია „5“-ზე.

მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ე. სოფრომაძე) მოსწავლის მ. ც-ძის 24 იანვრის ნაწერში მასწავლებელს არც ერთი შეცდომა არ შეუნიშნავს და შეუფასებია ნიშნით „4“.

კურსების საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი კ. გოგისვანიძე) მოსწავლის ც. ა-ძის 21 თებერვლის ნამუშევარში მასწავლებელს შეუმჩნევია 15 შეცდომა, რეცენზიაშიც აღუნიშნავს, რომ „გადაწერილია სხვა მოსწავლისაგანო“, მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია ნაწერის „4“-ზე შეფასებაში(!).

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, გასაკვირიც არ არის, რომ საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ნაწილებში დაწესებულ შეცდომებზე მუშაობას.

აღნიშნულ სკოლებში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, გამოყენებული არ არის თვალსაჩინოება და ტექნიკური საშუალებები, არასაკმაო მუშაობა ტარდება კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში. კურსების საშუალო სკოლის ვარდა, არც ერთ სკოლას არა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი ან კლას-კაბინეტი.

სკოლებში ჩამოყალიბებულია ამ საგნების მეთოდგაერთიანებები, მაგრამ მათ მუშაობას ფორმალური ხასიათი აქვს. საქმე ის არის, რომ გეგმები გადატვირთულია ზოგადი ხასიათის თემებით, წაკითხული მოხსენებები მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით დაბალ დონეზეა და არ ასახავს თვით მასწავლებლის მუშაობის გამოცდილებას.

უინტერესოდ მუშაობენ ლიტერატურის საგნობრივ-აკადემიური წრეები: არ ეწყობა ახლად გამოსული წიგნების, თვით მოსწავლეთა მხატვრული ნაწარმოებების განხილვა, არ ტარდება ლიტერატურული გასამართლებანი, ფოლკლორულ მასალებზე მუშაობა და სხვ.

\*  
\*  
\*

ქ. ტყიბულის საშუალო სკოლებში, როგორც გამოირკვა, გარკვეული წარმატებანია მოპოვებული გერმანული ენის სწავლებაში. შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა მოწოდების სიმალღეზე დგას და დამაჯერებელი დადებითი შედეგებიც აქვს.

მაგრამ ამ საერთოდ კარგ ფონზე მოიპოვებიან არაღამაკმაყოფილებლად მომუშავენიც.

ქ. ტყიბულის 1-ლი საშ. სკოლის V კლასის (მასწავლებელი ე. ბახტაძე) მოსწავლეთა მომზადება გერმანულ ენაში დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ კლასში მხოლოდ 10 მოსწავლეა. მასწავლებელი უადგილოდ ერევა მოსწავლის პასუხში. იქ, სადაც საჭიროა გამოჩინდეს მოსწავლის ცოდნა, რომელ ბრუნვაში ჩასვას ესა თუ ის არსებითი სახელი, თვითონ პასუხობს და არ აძლევს მოსწავლეს მოფიქრების საშუალებას.



გაკვეთილი დაიწყო ახალი მასალის ახსნით. ამ გაკვეთილზე მხოლოდ Genitiv—ბრუნვა უნდა ახსნილიყო, მან კი ყველა ბრუნვა მისცა. დაფაზე დაუწერა სამივე სქესის არსებითი სახელის ბრუნვა და გადააწერინა რვეულებში, რამაც 18 წუთი შეიწირა. სულ არ იყო საჭირო ამ მასალის რვეულებში ჩაწერა, რადგანაც იგი სახელმძღვანელოშია მოცემული და იქ უნდა ისწავლონ.

მასალის განატიკებისას შეცდომებს უშვებდა თვით მასწავლებელი: კი დაფაზე—Wessen ist das Buch ასეთი პასუხი მოითხოვა Das Buch ist des Schulers. ასეთი წყობით განმეორდა დანარჩენი ორი კითხვა და პასუხიც.

შემდეგ მასწავლებელმა წააკითხა ტექსტი: Wir lernen den Genitiv და ათარგმნინა, რამაც საჭირო ეფექტი ვერ მოახდინა. არადამაკმაყოფილებელია კითხვის ტექნიკა, მოსწავლეები სწორად ვერ კითხულობენ დიფთონგებს eu, ei-ს. ტექსტში არ მოაქმენინა ახალი გრამატიკული მასალა, Genitiv-ბრუნვაში მოცემული არსებითი სახელები. წერიტ საშინაო დავალებად მისცა სამი წინადადების გადაწერა წიგნიდან მაშინ, როდესაც ამ ახალ გრამატიკულ სავარჯიშოზე მასში სულ ხუთი მაგალითია მოცემული. მასწავლებელს კლასში შემოტანილი ჰქონდა თვალსაჩინო მასალა, მაგრამ არ გამოიყენა.

გაკვეთილზე 10 მოსწავლიდან მხოლოდ 5 აქტიურობდა, 5 კი სრულიად პასიუზად იჯდა. ამასთან, აქტიურად მომუშავე მოსწავლეთა პასუხებიც არ იყო გააზრებული. ვერ პასუხობდნენ საყოფაცხოვრებო ხასიათის კითხვებზე, რა გქვია, სად ცხოვრობ და ა. შ.

მასწავლებელი ე ბახტაძე 'არასაკმაო' პასუხისმგებლობით ეკიდება მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრების გასწორებას: გაუსწორებლად სტოვებს შეცდომებს, არ მუშაობს მათზე და ლიბერალურად აფასებს მათ.

სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობს დარგში მოსმენილი აქვს ე. ბახტაძის გაკვეთილი, მითითებაც სწორი მიუცია, მაგრამ იგი, ეტყობა, ყურად არ იღებს ხელმძღვანელის შენიშვნებს და არ ზრუნავს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გარკვეული ხარვეზებია იმავე სკოლის მეორე გერმანული ენის საერთოდ ბეჯითი მასწავლებლის ვ. ვაგოშიძის მუშაობაშიც.



მომავალში მას მოუხდება ენერგიული ზომები მიიღოს ამ ხარვეზთა სალიკვიდაციოდ.

ქ. ტყეშელაშვილის შესაბამის საშუალო სკოლებში არის გერმანული ენის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებანი: შედგენილია სამუშაო გეგმები, იკითხება მოხსენებანი საგნის სწავლების ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ ყველა მათგანი როდი შეიცავს მასწავლებლის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, აკადემიურ მსჯელობას მისი მუშაობის შესახებ.

შესწავლილ სკოლებში არის მოსწავლეთა თარგმნის წრეები, რომელთაც აქვთ სამუშაო გეგმები, ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა და სხვ., მაგრამ მეთოდოლოგიურად არ არის გამართლებული, როდესაც წრის ცალკეულ წევრებს ეძლევათ სთარგმნელი ტექსტები.

\*  
\*   \*  
\*

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მათემატიკის სწავლებაში. მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ცირეკაძე არ არის დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. VIII კლასში შემოწმების დღისათვის მან დაფასთან გაიძახა ერთი მოსწავლე, რომელიც მარტივი ამოცანის ამოხსნაზე ამუშავა მთელი 20 წუთი; კლასის სხვა მოსწავლეები კი ამ დროს უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი და საკლასო რვეულებში მექანიკურად გადმოჰქონდათ ის, რაც დაფაზე იწერებოდა.

იმავე სკოლის VI<sup>3</sup> კლასში მასწავლებელი ან. მუსატოვა მოსწავლეს აწერინებს მაგალითს დაფაზე, თვითონ კარნახობს, სხვები კი იწერენ დაფიდან. ანალოგიური გზით ატარებს გაკვეთილს კურსების საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელი გ. ლომთაძეც.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუმართავი გაკვეთილი ჩაატარა აკრეთვე მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. კაკუშაძემ IX კლასში. იგი, ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები კლასს გაასწორებინოს, გააანალიზებინოს თვითონვე პასუხობს. მოსწავლე ამბობს: „უდიდესი გვერდის პირდაპირ უდიდესი კუთხე დევს (სად, როგორ სამკუთხედში?)“.



იმავე სკოლის X კლასის (მასწავლებელი დ. ჯიშკარიანი) მოსწავლე ი. ნ. ისე აგებს  $y=2x^2-3x+1$  ფუნქციის გრაფიკს, რომ არ პოულობს ყველა მახასიათებელ წერტილს, არ აგებს პარაბოლას სიბრტყის წრფეს; სრულყოფილად არ განსაზღვრავს ფუნქციის ზრდადობას.

მოსწავლეთა შორის დაშვებული შეცდომები არ გაასწორა იმავე სკოლის V კლასის მასწავლებელმა თ. ამბროლაძემ.

მათემატიკის მასწავლებელთა დრდი ნაწილი ვერ ახერხებს კლასის მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას, მოსწავლეთა აზროვნების დაძაბვას, რადგან ახალ მასალას თხრობის მეთოდით გადასცემს. ასე მაგალითად, მე-4 სკოლის IX კლასის მასწავლებელმა გ. კებლაშვილმა კლასს მოუთხრო ტრიგონომეტრიულ მნიშვნელობათა ცხრილში კუთხის ტანგენსისა და კოტანგენსის მონახვის შესახებ, თვითონვე იბოვა რამდენიმე მნიშვნელობა, ნაცვლად იმისა, რომ შეედარებინა აღნიშნული ფუნქცია სინუსთან და კოსინუსთან (ეს მა ალა მას წინა გაკვეთილზე „აუხსნია“) და თვით მოსწავლეებს გაკეთებინათ დასკვნა მნიშვნელობათა პოვნაზე და კიდევ მოენახათ იგი.

ანალოგიურად ახსნეს ახალი მასალა „სფეროს მხებში სიბრტყე“ (განსაზღვრ : პირდაპირი და შებრუნებული თეორემა) იმავე სკოლის მასწავლებელმა კ. ტყეფურიშვილმა, მე-2 სკოლის IX კლასის მასწავლებელმა რ. კაკუშაძემ და კურსების სკოლის მასწავლებელმა (VII კლ.) გ. ლომთაძემ.

ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნისას, ან საშინაო დავალებას შე რულებასას არ ეძიებენ ამოხსნის რაციონალურ გზებს და კმაყოფილებიან შემთხვევით მიღებული პასუხებით; ასე მაგალითად, მე-7 სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი ვ. ციჩეკიძე) მოსწავლეები კიბ ტენუზის გამოანგარიშებას აწარმოებენ პითაგორას თეორემის გამოყენებით. მასწავლებელი VIII კლასს ამოსახსნელი ამოცანის ტექსტს კარნახობს და აწერხნებს რვეულებში, შემდეგ კიდევ კითხულობს და ამოწმებს, სწორად ჩაიწერეს თუ არა.

გაკვეთილზე ნაკლები ყურადღება ექცევა დროის რაციონალურ გამოყენებას, კლასს ამუშავებენ მეორეხარისხოვან მასალაზე, ან ისეთ რამეზე, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ეს აღუწერს მოსწავლეთა აზროვნებას და ავიწყებს მათ ძირითად ამო-



ცანას: IV კლასში, მაგალითად, მიეცა ასეთი სავარჯიშო — **წერეთ** კითხეთ. შერეული რიცხვები  $1\frac{1}{2}$ .  $2\frac{7}{10}$ “ და ა. შ.

მეთხე კლასის მასწავლებელ ე. პატარიძეს, ნაცვლად იმისა, რომ სახელმძღვანელოში წაიკითხოს, ბავშვები დაფასთან გაყავს რიგ-რიგობით, ჯერ გადააწერინებს წიგნიდან დაფაზე და შემდეგ ავალებს წაკითხვას. სავარჯიშო, სადაც მოცემულია დაფლება — „ჩაწერეთ შერეული რიცხვები“ მასწავლებელში გამოტოვა, ხოლო არაწესიერი წილადის შერეულ რიცხვად გადაქცევის“ 3 მაგალითი ერთ ბავშვს გააკეთებინა შაშინ, როცა ეს გაკვეთილის ძირითადი ნაწილია. შემდეგ დამოუკიდებლად მისცა კლასს იგივე სახის სამუშაო: 120;43; 114:47 (თითო რიგს ათი მაგალითი?! 24 ბავშვიდან 16-მა ვერ ამოხსნა იგი და გაკვეთილიც დამთავრდა, ე. ი. მასალა კლასს აუთვისებელი დარჩა.

საკირო ყურადღება არ ექცევა ადრე შესწავლილი მასალის განმეორებას მაშინაც კი, როდესაც მათი მოგონება აუცილებელია ახალი მასალის ათვისებისათვის. მე-4 სკოლის X კლასის მასწავლებელი კ. ცქიფურიშვილი, მაგალითად, ისე მუშაობს მასალაზე „სუერო“, რომ მოსწავლეებმა არ იციან წრის, სფეროს ელემენტარული საკითხები.

მე-7 სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან პიპოტენუნის შესაბამისი სიმალის გავლება, მონაკვეთის გვემილის პოვნა და ამ ცნებათა განმეორების გარეშე ხსნიან ამოცანებს.

ცუდად ირჩევა ამოცანები და მაგალითები საკონტროლო წერისათვის. ზერეულად სწორდება მოსწავლეთა ნამუშევრები, შენაშნული არ არის ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის არარაციონალური ხერხები და ნაწერები ფასდება ლიბერალურად. საკონტროლო წერებს მთელ გაკვეთილს უთმობენ, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ამოცანის თუ მაგალითის ამოხსნისათვის საკიროა 15—20 წუთი, მოსწავლეებს ამლევენ უფლებას, ჯერ წერონ „შავად“ სამუშაოზე, ფურცელზე. მერე კი ათეთრებენ.

არაღამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის საგნობრივ-აკადემიური წიგნები, მათ მუშაობას ფორმალური ხაზით აქვს და მოსწავლეთა მიერ მხოლოდ რეფერატების წაკითხვით ამოიწურება.

სკოლებში შექმნილია მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდ-გაერთიანებანი, რომლებიც მუშაობენ სათანადო გეგმებით. მათი მუშაობის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ვერ სწავლობენ მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებას და ვერ ნერგავენ მათ

სკოლის პრაქტიკულ საქმიანობაში, წაკითხულ მოხსენებებში ნაკლებად ჩანს თვით მასწავლებელი.



\* \* \*

შესწავლილ სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი ზომებია მიღებული ფიზიკის სწავლების გასაუმჯობესებლად, ამ საგნის სწავლებაში მაინც შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

არაღმაკმაყოფილებლად ასწავლის ფიზიკას მე-7 სკოლის მასწავლებელი ვ. ცირეკიძე. IX კლასში, სადაც ეს საკანი ახალი პროგრამით ისწავლება, მან დაუშვა მეცნიერული ხასიათის შეცდომები. მოსწავლეებმა ცუდად იციან საპროგრამო მასალა, არაღმაკმაყოფილებლად ერკვევიან ნახევარგამტარების ელექტრონულ ბუნებაში, საკუთარ და მინაჩვეულ გამტარობაში.

დაბალია კლასის მომზადების დონე. მოსწავლეებს მიჩინათ, მოლეკულებს იმიტომ აქვთ პოტენციალური ენერგია, რომ ისინი ერთმანეთს მიეზიდებიან, ხოლო კინეტიკური ენერგია შედეგია მოლეკულების ურთიერთგანზიდვისა.

მასწავლებელი ვ. ცირეკიძე ვერ ახდენს შესასწავლი მასალის დოზირებას: იგი ისე დიდ საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ შეუძლებელია მისი შესრულება. შემოწმების დღეს ახალი მასალის „ნახევარგამტარული დიოდის“ ახსნისას დაუშვა მეცნიერული ხასიათის შეცდომები, არ ჩაუტარებია არავითარი ცდა, რის გამოც მოსწავლეებმა მასალა ვერ გაიგეს. მასწავლებელმა არ შეამოწმა ახალი მასალის ათვისება, მხოლოდ იკითხა, ხომ არ გაქვთ შეკითხვაო და, პასუხად რომ „არა“ მიიღო, გადავიდა ამოცანის ამოხსნაზე, თანაც ხსნიდა ამოცანას ელექტროლიტზე (!) ამასთან, მასწავლებელი არ იცავს სისტემებს, საბოლოო ფორმულაში მონაცემები შეაქვს, რაც სისტემაში გადაყვანის გარეშე უხეში შეცდომაა და დამატებით კომენტარებს არ მოითხოვს.

ქ. ტყიბულის სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას. ამ საქმით არც მასწავლებლობაა დაინტერესებული და არც სკოლების ხელმძღვანელები, ამიტომ მრავალი ძვირფასი ხელსაწყო წლების მანძილზე უმოქმედოდ დგას, ამ მხრივ ყველაზე უარესი მდგომარეობაა მე-7 სკოლაში, სადაც კინოაპარატი „შკოლნიკი“, დიაპროექტორი



„ლეტი“, საპროექციო ფანარი და ფილმისკოპები უმოქმედობდა. არის ჩაკეტილი კარადებში (კაბინეტის გამგე ვ. ცირეკიძე, ლაბორანტი მარუაშვილი). კაბინეტში არ ტარდება ცდები და არ იყენებენ არავითარ ტექნიკურ საშუალებას, რადგან აქ არ არის შექმნილი არავითარი პირობა ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.

კაბინეტის დგამ-ავეჯი შეტად უწესრიგო მდგომარეობაშია, დაბნელება ხდება პრიმიტიული წესათ. კაბინეტს არა აქვს საინვენტარიზაციო დაგარი, საერთოდ, იგი მოკლებულია მზრუნველ ხელს.

მე-4 სკოლაში მთელი ტექნიკური საშუალებები ფიზიკის კაბინეტშია თავმოყრილი იგი კარგად არის უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით, მაგიდები ელექტროფიცირებულია. კაბინეტში დგას კინოდანადგარი, ამის გამო ფილმების დემონსტრირება ყველა საგანში აქ ხდება, რაც უხერხულ მდგომარეობას ქმნის.

მე-2 სკოლაში ტექნიკური საშუალებები კაბინეტების მიხედვით არ არის განაწილებული: თითქმის ყველაფერი ფიზიკის კაბინეტშია თავმოყრილი—ორი ცალი ეპიდიოსკოპი, სამი ცალი კინოპარატი „უკრაინა“ და ეს მაშინ, როცა ქიმიის კაბინეტს ასეთი საშუალებანი სრულიად არა აქვს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სკოლის ფიზიკის კაბინეტში არის თავმოყრილი ბევრი ისეთი ერთიდაიგივე სახის-ხელსაწყო, რომლებიც ამ რაოდენობისა სრულზადაც არ სჭირდება სკოლას. სკოლას აქვს, მაგალითად, ორი ძვირადღირებული ტელესკოპი, რომელთაგან ერთი ტყუილად, მხოლოდ შესანახად დგას ქიმიის კაბინეტში(1).



ქიმიის სწავლება ამ ერთი სასწავლო წლის მანძილზე, როგორც გამოირკვა, ერთგვარად გაუმჯობესებულა. ამჟამად შესწავლილი სკოლებიდან უკვე აღარ გვხვდებიან არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლები, მაგრამ ზოგი ხარვეზი მაინც აღინიშნება.

ქ. ტყიბულის მე-7 საშ. სკოლაში ქიმიისათვის შეუფერებელი ოთახებია გამოყოფილი, რადგანაც მათი ფართი იმდენად მცირეა, რომ არა თუ პრაქტიკული ლაბორატორიული სამუშაოების, არამედ ვაკვეთალის ჩატარებაც კი ვარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამჟამად ახალი სასკოლო შენობის დამთავრებამდე

ამ პირობების გაუმჯობესება არც შეიძლება, რადგანაც ობიექტ რად ამის საშუალება არ არის.

ქალაქის ყველა სკოლაში ჩამოყალიბებულია ქიმიის საგნობრივი წრეები, მაგრამ მათ მუშაობას ერთი საერთო ნაკლი აქვს: არასაკმაო ყურადღება ექცევა თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას (ამ მხრივ გამოჩნაკლისს მხოლოდ კურსების საშ. სკოლა წარმოადგენს), ქიმიის სწავლების პროცესში კი თვალსაჩინოების მაქსიმალურად გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია თვითნაკეთი ხელსაწყოს გარეშე.

ქიმიის სწავლებაში ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. სკოლებს აქვთ კინო-აპარატები, ებიდიასკოპები, დიაპროექტორები, უნივერსალური საპროექციო აპარატი და სხ. ხელსაწყოები, მაგრამ მათ არ იყენებენ სწავლებაში. ამ საქმეში წარმატების მოსაპოვებლად არც მასწავლებლები იყენენ ინტერესს და არც სკოლების ხელმძღვანელები. თავის მხრივ ვერც ქალაქის ფილმოთეკა ეხმარება სკოლებს: იგი ძალიან ღარიბია, მოთავსებულია ერთ პატარა ოთახში, ჯერჯერობით ჰყავს მხოლოდ ერთი მუშაკი.

არასაკმაო ყურადღება ექცევა სასკოლო ექსკურსიების ჩატარებას, რის შედეგადაც მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა არა აქვთ სოციალისტური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე.

\*  
\*  
\*

შეინიშნება, რომ ბიოლოგიის ზოგმა მასწავლებელმა სათანადო დასკვნები გააკეთა გასულ სასწავლო წელს მათი მუშაობის უარყოფითი შეფასებიდან. მე-4 საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი მ. ქათამაძე წელს შედარებით უკეთ მუშაობს.

ბიოლოგიის სწავლების ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა შესაფერისი სასწავლო-მატერიალური ბაზა. ამ მხრივ არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზოგ სკოლაში. კურსების საშუალო სკოლაში, რომელიც უკვე კაბინეტურ სისტემაზე გადასული, ბიოლოგიას დათმობილი აქვს, მართალია, ვრცელი, მაგრამ მაინც ერთი ოთახი.

ამ მხრივ უარესი მდგომარეობაა მე-7 სკოლაში, სადაც ორ პატარა ოთახშია მოთავსებული ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი (მასწ.



ლ. ფორჩხიძე) ამ სკოლას სრულიად არა აქვს სასკოლო ნაკვეთიც. სხვა სკოლებს ნაკვეთები აქვთ, მაგრამ ისინი მოსწავლეებელია. არ ტარდება ეფექტური ღონისძიებანი ნაკვეთზე სასაბურთო მეურნეობისა და ზოოლოგიური განყოფილების მოსაწყობად. სკოლებამდე არ არის დაყვანილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს ალკეცკ-ის ერთობლივი ღონისძიებანი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ჯერ კიდევ ნაკლოვანებებით ხასიათდება მე-2 საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის ნ. პატარძის მუშაობა. VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან, თუ სადაური იყო ჩარლზ დარვინი: ზოგს ის რუსი მეცნიერი ჰგონია, ზოგს — ბერძენი და ა. შ. მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ცხოველსა და მცენარეს შორის განსხვავებაზე. პასუხობენ — „ცხოველი მოძრაობს, მცენარე კი არაო“. ამით იმის უცოდინარობასაც ამჟავებენ, რომ მოძრაობის გარეშე საერთოდ შეუძლებელია სიცოცხლე. მოსწავლეებს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ დიდი შვედი მეცნიერის კარლ ლინეის მიერ მეცნიერებაში შეტანილ წვლილზე.

არადაამაკმაყოფილებლად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები, საკმაო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთათვის საზაფხულო დავალებათა მიცემას და მათი შესრულების ორგანიზაციას. სკოლები აქტიურად არ მონაწილეობენ კონკურსში „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“, არ სრულდება პრაქტიკული სამუშაოები; არ ტარდება ბიოლოგიური დაკვირვება მცენარეებსა და ცხოველებზე.

მოუწესრიგებელია ექსკურსიების ჩატარება ბიოლოგიის სწავლებისას. საგნის მასწავლებლებს არა აქვთ ცალკეული თემების გავლასთან დაკავშირებით ექსკურსიების ჩატარების პერსპექტიული გეგმა; ამიტომ გამორიცხული არ არის სტიქიურობა და არაორგანიზებულობა ამ მნიშვნელოვან საქმეში.

\*  
\*  
\*

შესწავლილ სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში.

ქ. ტყებულის მე-2 საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და ისტორიის მას-



წავლებელი ელ- ნემსაძე არც კი იცნობს განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული საგნის პროგრამასა და სათანადო მიზნებს. ამის გამო მან არ იცის, როდის იწყება სსრ კავშირის ისტორიის სწავლება, რომელი თემის კავლის შემდეგ უნდა დაიწყოს უახლესი ისტორია და როდის—საქართველოს ისტორიის სწავლება.

სკოლის მუშაობის შეხწავლის დროისათვის ელ. ნემსაძეს დამთავრებული უნდა ჰქონოდა თემა—„ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა“, მაგრამ მას შესწავლილი ჰქონდა „ორხელი უფლებიანობა“ და იმეორებდა თემებს—„იმპერიალიზმი—კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია“, „სოფლის მეურნეობა იმპერიალიზმის პერიოდში“, „რევოლუციური კრიზისის მომწიფება რუსეთში XX საუკუნის დასაწყისში“ და „მარქსისტული პარტიის შექმნა“. უახლესი ისტორიის კურსი ადრე დაუწყია და ისიც დაუმთავრებია...

გასამეორებელი მასალიდან IX<sup>1</sup> და IX<sup>2</sup> კლასების მოსწავლეებმა არ იციან იმპერიალიზმის არსი, წარმოდგენა არა აქვთ კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციაზე, საბანკო კაპიტალის სამრეწველოსთან შერწყმაზე, კაპიტალის გატანასა და მის მნიშვნელობაზე მასწავლებლის კითხვებზე მოსწავლეები ვერ პასუხობენ, ამ გარემოებას მდგომარეობიდან გამოჰყავს იგი და გაჯავრებული მიმართავს კლასს სიტყვებით: „რაშია საქმე? რატომ არ იცით? მე ხომ აგიხსენით ეს?“ და ა. შ.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული კლასების მოსწავლეებს მასწავლებელი ელ. ნემსაძე დაუმსახურებლად აფასებს მაღალ ნიშნებზე: IX<sup>1</sup> კლასში 20 მოსწავლიდან 7-ის ცოდნა შეფასებულია „5“-ზე, 8-ისა—„4“-ზე, 3-ისა კი—„3“-ზე. IX<sup>2</sup> კლასში 27 მოსწავლიდან 9 შეფასებულია „5“-ზე, 11—„4“-ზე და 7—„3“-ზე.

ამ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდგაერთიანებაც: გეგმა ცუდად არის შედგენილი, წაკითხული მოხსენებები კი ზოგადი ხასიათისაა და მათში არაფერია ნათქვამი თვით მასწავლებლის გამოცდილებაზე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. ბექაია. VIII კლასის მოსწავლეებს უჭირთ მასალის განაილვა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. საჭირო დასკვნებს ვერ აკეთებენ ისტორიულ მოვლენებზე. მოსწავლეთა მიერ



წინა მასალის—„რუსეთის ხალხთა სოციალურ-ეკონომიური განვითარება, ბატონყმობის კრიზისი. კლასობრივი ბრძოლის ფორმა აუთვისებლობა გამოწვეულია იმითაც, რომ მასწავლებელი ვერ ახდენს ასახსნელი მასალის სწორად დოზირებას.

ჩამორჩენას აქვს ადგილი საპროგრამო მასალის გავლაში X<sup>3</sup> კლასში: სსრ კავშირის ისტორიაში დეკემბრისათვის დასამთავრებელი მასალა მასწავლებელმა ი. ბეჭიაიმ დაამთავრა 15 მარტს; საქართველოს ისტორიის განმეორება უნდა დაეწყო 11 იანვრიდან და მესამე მეოთხედში გამოეყვანა მეოთხედური ნიშანი, მაგრამ ეს მუშაობა მარტის შუა რიცხვებშიც არ იყო დაწყებული. დაუჯერებელია, მოესწროს სასწავლო წლის ბოლომდე სსრ კავშირის ისტორიის განმეორება, რომელიც 15 მარტს დაიწყო კლასმა.

მე-7 სკოლის VI<sup>2</sup> კლასის (მასწავლებელი ნ. ბუცხრიკიძე) მოსწავლეებმა წინა მასალის—„კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება“ გადმოცემის დროს ვერ ახსნეს, თუ რა იყო ინგლისში მსხვილი საწარმოების შექმნისას გლახთა გადატაკების კონკრეტული მიზეზები. ვერ განსაზღვრეს შრომის განაწილების მსგავსება და სხვაობა მანუფაქტურასა და მსხვილ საწარმოში. ფრონტალური კითხვებით კლასის მომზადების დონის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ კლასში მხოლოდ მოსწავლეთა ერთი, მცირე ნაწილია აქტიური.

ახალი მასალა—„შემოღობვა და მისი შედეგები“ მასწავლებელმა ახსნა ერთფეროვანი დიქციით; თხრობა არ იყო დამაჯერებელი. ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს ვერ გაუკეთა საჭირო დასკვნები. მასწავლებელმა ვერ განმარტა, რატომ იყო საჭირო მიწიდან გლახების გარეკვა, ვერ გამოიყენა კ. მარქსის ფრთოსანი გამოთქმა—„ცხვრებმა შეჭამეს ადამიანები“, ვერ განმარტა განსხვავება ახალ აზნაურებსა და ძველ ფეოდალებს შორის, ვერ გააგებინა მოსწავლეებს სისხლიანი კანონის სიმძაფრე მაწანწალათა და მათხოვართა წინააღმდეგ.

სკოლაში მუშაობს ისტორიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება, რომელსაც აქვს სამუშაო გეგმაც, მაგრამ სხდომებზე წაკითხული მოხსენებანი ზოგადია და არ იძლევა წარმოდგენას თვით მასწავლებლის მუშაობაზე.

\*  
\*  
\*

ქ. ტყებულის სკოლებში გარკვეული დონისძიებანი ხორციელდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საქმეში. ამ მიზ-



ნით ტარდება საწარმოო ექსკურსიები, მოსწავლეები მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, იწვევა მშობელთა კრებები, ტარდება ლექცია-მოსხენებანი სათანადო თემატიკით, ეწყობა შეხვედრები შრომის მოწინავე ადამიანებთან, საჭირო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მიერ თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღების დამზადებას და სხვ.

მაგრამ, ამასთან, სკოლების მუშაობას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის დარგში ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

პედაგოგიური საბჭოების, ან კლასის ხელმძღვანელთა მეთოდ-გაერთიანების სხდომების სპეციალური მსჯელობის საგნად ჯერ კიდევ არ გამხდარა ეს საკითხი.

არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის მოწყობილი პროფესიული ორიენტაციის კუთხე. არ ეწყობა სათანადო კინოფილმების ჩვენება.

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები არ ატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს, არ სწავლობენ მოსწავლეთა მიდრეკილებებს; კლასის ხელმძღვანელებს მათ პედაგოგიურ დახასიათებებში არ შეაქვთ სათანადო ცნობები და ა. შ.

ქმედითი ღონისძიებანი არ ტარდება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ყველა ახალგაზრდის ჩასაბმელად: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენს მიერ შესწავლილი ზემოხსენებული სკოლების კურსი დაამთავრა 425-მა ახალგაზრდამ, მათგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა გააგრძელა 77-მა, საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შევიდა—69, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში—62, წარმოებაში სამუშაოდ მოეწყო—169, საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს—28, მაგრამ 61 ახალგაზრდა ე. ი. აღნიშნული კონტინენტის 14% არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

\*  
\*   \*  
\*

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანია სკოლებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.



დღემდე არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების მინისტროს 1971 წლის 28 აპრილის № 269 ბრძანება, რომელიც განათლების განყოფილებებსა და სკოლების ხელმძღვანელებს ავალებს—ერთ-ერთ მუშაკს დაავალონ შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საკითხებზე მუშაობა.

ქ. ტყიბულის მე-2, მე-4 და მე-7 სკოლების სახელოსნოებში არარაციონალურად არის განლაგებული დაზგები და ჩარხები. გირაგებს შორის არ არის მოწყობილი დამცავი ბადეები, დაცული არ არის მათ შორის გათვალისწინებული მანძილი. ჩარხები და დაზგები დამონტაჟებული არ არის სტაციონალურ სადგარებზე, მათი ექსპლოატაცია ხდება დამცავი საშუალებებისა და დამონტაჟების გარეშე, რაც ქმნის ტრავმული შემთხვევების წარმოშობის საშიშროებას. არ ტარდება ელექტროდენის განმანაწილებელი ფარების ყოველწლიური პროფილაქტიკური გასინჯვა; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესწავლაზე შესავალი, პერიოდული და განმეორებითი ინსტრუქტაჟის ჩატარებას. არ ტარდება მომეტებული საშიშროების უბნებზე მომსახურე პერსონალის საკურსო სწავლება.

არც ერთ სკოლაში არ არის გაფორმებული შეთანხმებები სკოლების დირექტორებისა და პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეებს შორის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებების გატარებაზე ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. გაფორმებული არ არის აქტები კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოებისა და საქვაბუ მეურნეობის მზადყოფნაზე.

მე-7 სკოლის ქიმიის კაბინეტში არ არის ამწოვი კარადები, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებები არ არის შენახული რკინის კარადებში, არა აქვთ ცდების ჩატარებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვითი საშუალებანი—რეზინის ხელთათმანები, რეზინის წინსაფრები და სხვ.

საქვაბუ მეურნეობის ცეცხლფარეშებს არა აქვთ მოწმობები ქვაბზე მუშაობის უფლების შესახებ, ქვაბები დაუკომპლექტებელია საკონტროლო საზომი ხელსაწყოებით—მანომეტრით, თერმომეტრით და ა. შ.

სკოლებში მცირეა, ან ზოგან სრულიად არ არის თვალსაჩინო მასალები უსაფრთხოების ტექნიკაზე.



შესწავლილ სკოლებს შორის მხოლოდ მე-7 სკოლაა ისეთი, სადაც არ არის შრომის წიგნაკების მოძრაობა-აღრიცხვის ჟურნალი, ამასთან, შრომის წიგნაკების შევსება არ ხდება არსებული ინსტრუქციის მიხედვით.

\*  
\*   \*  
\*

ქ. ტყიბულის ზემოხსენებულ საშუალო სკოლებში შემჩნეული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად შეპირობებულა იმით, რომ დღემდე ჯეროვანი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი არ ხორციელდება მასწავლებელთა მუშაობაზე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სკოლების ხელმძღვანელი კადრები არასწორად არის შერჩეული: ქალაქის მე-4, მე-7 და კერძების სკოლების დირექტორებად და მათ მოადგილეებად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში არიან ჰუმანიტარული საგნების სპეციალისტები; ამიტომ მათ მიერ საბუნებისმეტყველო ციკლის საგნებში, და, სამწუხაროდ, ზოგჯერ არამარტო ამ ციკლის საგნებში, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები ზერელე, არაკვალიფიციურია და არაფერს აძლევს არც მასწავლებელს და არც მის დამსწრეს.

მე-7 სკოლის დირექტორი ზ. გაბრიჭიძე 22 სექტემბერს დასწრებია IV<sup>1</sup> კლასში ქართული ენის გაკვეთილს (მას დღემდე სულ მოსმენილი აქვს 64 გაკვეთილი); ანალიზი უწიგნურად არის დაწერილი, მასში დაშვებულია მეცნიერული ხასიათის შეცდომები: პირდაპირი დამატება მას წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი ჰგონია, ვ. ტაბიძის ლექსი „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ კი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შემდეგ დაწერილად მიაჩნია. იგი სპეციალობით ისტორიკოსია და ასეთ შეცდომებს უშვებს ქართული ენის გაკვეთილის ანალიზის დაწერისას, როგორც ვაერკვევა იგი მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვ. საგნებში მოსმენილი გაკვეთილების ავ-კარგში(!).

საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მე-2 სკოლის დირექტორის მოადგილე ვლ. ნემსაძე: მან წინა დამით „გაფორმებული“ თერთმეტი გაკვეთილის ანალიზი წარმოადგინა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის საქმის ინტერესით და ცოდნით დაწერილი. ამასთან, განაცხადა—89 გაკვეთილი მოვისმინეო. დავინტერესდით სკოლის დღიურიდან



მაინც ამოგვეთვალა ისინი, მაგრამ იქ საერთოდ არ შეაქვეთეს ცნობები(!), მოიტანა ანალიზების ე. წ. „შავად“ ჩანაწერები, აშკარად ეჭვი აღგვიძრა, რადგან თარიღები გადასწორებულია, თანაც უთავბოლოდ; მოსმენილი გაკვეთილები დროის მიხედვით ასეა წარმოდგენილი: 29.X, 26.X, 19.IX, 3.XI, 19.X, 26.X, 7.X 2.XII, 28 IX, 2.III, 26.II, 10 III. (!).

ესეც არ იყოს, რა ფასი აქვს სხვა მასწავლებლის გაკვეთილის მოსმენას სკოლის ისეთი ხელმძღვანელისაგან, რომელიც, როგორც მასწავლებელი, დაბალკვალიფიციურია, მუშაობის დიდი სტაჟის მათხედავად.

შესწავლილი სკოლების ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი შეპირობებულია იმითაც, რომ განათლების განყოფილება და მისი პედაგოგიური კაბინეტი ჯერ კიდევ არასაკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ბრიგადას საჭიროდ მიაჩნია საკითხი ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ განიხილოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადა:

1. ა. აბაშიძე
2. ალ. ალასანია
3. რ. გურგენიძე
4. ს. დვალი (ხელმძღვანელი)
5. ჯ. თოფურია
6. ჰ. თუთბერიძე
7. თ. კაკვასიძე
8. დ. მახარაძე
9. გ. შენგელია
10. ი. წოწონავა
11. თ. ხურცილავა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 433—ქ. თბილისის კიროვისა და პარკელის მაისის სახ. რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგიერთი სკოლის დაწესებულებების განათლების მეთოდური მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 9
2. ბრძანება № 348—ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მეთოდური მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 29 აპრილის № 276 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ . . . . . 58

რედაქტორი უშ. ოზოლაძე  
კორექტორი ე. ქურციკიძე

**ფასი 14 კპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII-73 წ. ანაწყოების ზომა 6×9,5,  
ქალაქის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,6

შეკვ. № 675

შე—05780

ტირაჟი 5.000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გაშომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ფაბრიკის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწველობის  
სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома Государственного Комитета  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета  
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19